კვირა, 17 თებერვალი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 14 ყოველკვირეული ჟურნალი № 14

რედაქცია და კანტორა	ფასი	რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პრო. სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 102.	5 კაპ. მაჯაღლო ოქროთი	ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დაღის 8 ს. შუად. 1 ს.-დე.

სალამი სეითს!..

ჩვენი რიგები დღითი დღე იზრდება, მტკიცდება...

კიდევ მოგვემატა ახალი ძალა.—

დღეს უკვე სავსებით ჩვენთან არის საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ბელადი—ს. დევდარიანი...

და ჩვენ, მუშებს, რომლებმაც დავტოვეთ მენშევიკური პარტიის რიგები, გვეუბნება: „მივმართავ ყველას, ვინც გამოვიდა სოც.-დემოკრატიული პარტიიდან,—ნუღარ დაიწყებთ აქეთ იქით ქანაობას, არ შეგვრყესთ ხელში მუშათა კლასის დიქტატურის დროშა, შემოიდროვდით ამ დროშის ქვეშ. თქვენ უნდა ამოგიდგენ გვერდში, ვინც არის კიდევ დარჩენილი პარტიაში. **მე ვიქნები თქვენთან ერთად**“.

ჩვენ დიდ სეითს, ერთ-ერთ ბელადს სოც. დემოკრატიულ პარტიისა, ვეუბნებით:

— ჩვენს ხელში არასოდეს არ შედრკება პროლეტარიატის დიკტატურის დროშა. ჩვენ მტკიცედ და ურყევად დავირაზმეთ ამ დროშის გარშემო და ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს ჩვენი რიგების შერყევას.

ჩვენთვის მეტად ძნელი იყო თავმოყვარეობის გადალახვა, ძველი, ისტორიულად შეზრდილ პარტიასთან განშორება, მძიმე იყო, მეტად მძიმე იმ პარტიასთან კავშირის გაწყვეტა, რომლის დროშის ქვეშ ათეულ წლობით ვიბრძოდით, და ბევრს ჩვენთაგანს გვიგემნია თვითმპყრობელობის რეპრესიების მთელი სისასტიკე, სუსხი, ციხე, კატორღა, მაგრამ, რაკი დავრწმუნდით, რომ მენშევიკური პარტია ასცდა თავის ნამდვილ გზას, როდესაც შევიგნეთ მენშევიკური პოლიტიკის მუშათა კლასისათვის დამღუპველობა, ჩვენ შეუბრალებლად გავაკრიტიკეთ ძველი გზა, საკუთარი თავი, პარტია და გავსწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი იმ პარტიასთან, რომლის „საქმეებმა“ თქვენ, დინჯო სეით, აგაღელვათ და მის საწინააღმდეგოდ აგალაპარაკათ. „ჩვენ მასსას, არ გქონდა საშუალება გავცნობოდით ყველა იმ „მასალებს“, რომლებმაც თქვენ ჩვენთან მოგიყვანეს,“ მაგრამ ნაწილობრივ ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით.

ჩვენ მუშური ინსტიქტით ვიგრძენით, რომ მენშევიკური ხაზი ძალზე გაიღუნა, რომ მას დაღუპვისაკენ მივყევართ და გადავდგით ისტორიული ნაბიჯი...

უარვყავით ძველი გზა...

მივიღეთ ახალი...

ეს მოხდა მუშათა დაბალ-ფენებიდან.

ლიდერები არ იყვნენ ჩვენთან... ჩვენ გული გვტკიოდა, რომ ლიდერებმა ანგარიში არ გაუწიეს ჩვენს მუშურ მოძრაობას და ქვა და გუნდა მოგვაყარეს, მუშები ისევ მუშების მოღალატეებად და საგანგებო კომისიის აგენტებად გამოგვაცხადეს. თქვენ მაინც დარწმუნდებოდით ამხ. სეით, საგანგებო კომისიაში, რომ ჩვენ არავისი აგენტები არ ვიყავით, ჩვენ ვიყავით მხოლოდ მუშათა კლასის აგენტები და გვამოძრავებდა მხოლოდ მუშათა კლასის ინტერესები, მისდამი სიყვარული და სოციალიზმის საქმე.

სხვა აზრები და მიზნები ჩვენ არ გვქონია.

ჩვენ დღეს უდიდესი სიხარულის გრძნობით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღეს ლიდერებიც გვყავს და მასსაც.

როდესაც ჩვენი ორგანოს ფურცლებზე ს. დევდარიანის წერილებს უთმობდით ადგილს, ჩვენ გვინდოდა ყველაფერი თქმულიყო, რომ მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ რუეევაში იყო და ბორძიკობდა, გამორკვეულიყო და დაენახა სიმართლის გზა.

ს. დევდარიანის პირველ ორ წერილიდან უკვე აშკარა იყო, რომ ს. დევდარიანი მართლა ახალ გზებს „ეძებდა“. და როცა თავის პირველ წერილში ამხ. სეითმა დაიწყო შავი საფრთხის შესახებ წერა და იმავე დროს აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ რუსეთში არაა მოსალოდნელი დემოკრატიული წყობილობის დამყარებაო, აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ის ჩვენსკენ გზას იკაფავდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, მას ცოტა დააგვიანდა. მან მაშინ შესცვალა წერის კილო და როცა საგანგებო კომისიაში დაიწყო „საბუთების“ გადათვალიერება და წერილების „რა ვქნათ“ წერა, ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ამხ. სეითი ჩვენთან მოვიდოდა...

და მოვიდა კიდეც...

ჩვენ მუშები და გლეხები, რომლებმაც გავსწყვიტეთ ყოველ გვარი კავშირი მენშევიკურ პარტიასთან 6 თვის წინად, გაშლილი ხელებით ვეგებებით ძვირფასი ამხანაგის, სეით დევდარიანის ჩვენთან მოსვლას და ვეუბნებით მას:

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა...

ჩვენ ველით საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიის მამამთავრის ნ. ჟორდანიას დაბრუნებასაც. მას ს. დევდარიანთან ერთად ჩვენც ვეუბნებით შორიდან: „მოდი, გეძახის შენი ხელით ნარწევი აკვნიდან გამოსული მუშათა კლასი, ვეუბნებოდით და ახლაც ვეუბნებით გადასახლებულებს, მთებში გაქცეულებს მოვიდნენ ჩვენთან და იმუშაონ მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. ვეუბნებით ყოველ მუშას, გლეხს მოდით ჩვენთან, ერთად ვიაროთ ბრწყინვალე მომავლისკენ, სოციალიზმისკენ.

ყოველ გულწრფელ რევოლიუციონერს და ძველ მებრძოლს სიხარულით და სიამოვნებით მივიღებთ ჩვენს რიგებში.

ჩვენი კარები დაკეტილია მხოლოდ ავანტიურისტებისათვის, მუშათა კლასის მტრებისათვის.

რა ვქნათ?*)

საგოლოო სიტყვა.

არ დამავიწყდება, როცა იატაკ ქვეშ ვიყავი, ორიოდე ღამის გათევა მომიხდა მუშების უბანში, ერთმა ძველმა მუშამ მითხრა,—მოგყვებით, ცეცხლში გადავვარდებით, მაგრამ, ვაი თქვენი ბრალი, თუ სწორი გზით არ მიგყვართ, იცოდეთ, არასოდეს არ გაპატიებთო.

არაფერი არ ვუთხარი ამაზე, გულში კი გავიფიქრე,—მართალია, საქართველო არ მოერიდება არავითარ მსხვერპლს, არ გვაპატიებს მხოლოდ, თუ ეს მსხვერპლი უნაყოფო იქნა იმისთვის.

იმ მუშის სიტყვები შემომესმა, როცა აქ გავიცანი პირველი მასალები. საგანგებო კომისიაში, სხვათა შორის, ძალიან კარგათ ცოდნოდათ, როგორ ვუყურებდი საქართველოს საკითხს პირადათ მე, და რამდენათ ურევია ჩემი ხელი ამ მასალებში. სულ ადვილათ შემეძლო გავჩუმებულიყავი, ჩამეცვა თოვლივით სუფთა ხელთათმანები... რა მიჭირდა, **მაგარი** კაცის სახელი დამერქმეოდა, და არ დაილრუბლებოდა ჩემი დამოკიდებულება მათთან, ვისთანაც ახლოს ვიყავი სულით და გულით...

მაგრამ მე ვიგრძენი, რომ პასუხი უნდა გამეცა იმ მუშის სიტყვებზე, უნდა მეთქვა ყველასთვის, ვინც ჩვენ პარტიას ჩაბარა თავისი ბედიღბალი,—**გაფრთხილდით, ეს გზა არ არის სწორი.**

ჯერ კიდევ ყველა მასალებში არ ვიყავი ჩახედული, როცა ვსწერდი,—პარტიის მეორე სახე მიმაჩნია შესაძლებლათ და იმას ვეკამათები თქო. მერე ვნახე პარტიის სახელით ნაკეთები „საქმეები", და დავრწმუნდი, რომ შესაძლებელი უკვე გადაქცეულა სინამდვილეთ. პარტია, რომელიც წარსულში ანათებს ნოე ჟორდანიას, სალ. ჯიბლაძეს, ირ. წერეთლის, კ. ჩხეიძის, და კიდევ რამდენი სახეებით, წინ დამიდგა მახინჯი კვაზიმოდოს სახით.

მე დაჟინახე გამართლება ყოფილი მენშევიკების. ბევრი რამე მაქვს სასაყვედურო მათთან და მაინც უნდა ვთქვა, ისინი მართალი ყოფილან, როცა უხვევდენ ორ წელიწად ნახევრის გზას".

გამიგონია, კახელ გლეხს მეფე ერეკლე ახლაც ცოცხალი ეგულება და მის სადღეგრძელოს სვამს ხოლმეო... თითქო ასე გვემართება. სრულიად არ ვუწევთ ანგარიშს ობიექტიურ პირობებს და დავგიკარგავს პერსპექტივები. აქედანაა ის წინააღმდეგობის ქსელი, რომელშიაც გაბანდულა ჩვენი პარტიის ტაქტიკა.

წინააღმდეგი ვიყავით ინტერვენციის და გვიმუშავია ინტერვენციისთვის, მოვითხოვდით ჯარის გაყვანას და საინტერვენციო პოლიტიკით ხელი გვიწყვია იმისთვის, რომ რუსეთს სულ აღარ ეფიქრა ჯარებიო გაყვანაზე, მომხრე ვიყავით თანამშრომლობის და ფიქრი გვქონებია ანარქიაზე.

ამნაირი უთავბოლოობა ტაქტიკის, როცა სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, როცა თითქო მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა ხელი, აიხსნება, ვიმეორებ იმით, რომ ჩვენ სუსტი ვიყავით ობიექტიური პირობების აწონდაწონაში. ამაშია ჩვენი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე. თითეული მუშა, ან გლეხი—დატუსაღებული ან გადასახლებული გვეტყვის,—მე ვერ ვგრძნობ, რომ ამითი გაუკეთდება რამე საქართველოს, თქვენი ბრალია, თქვენ ვერ მოგვეცით სწორი გზა. თითეული ქართველისაგან, რომელიც მსხვერპლათ შეიწირა ამ სამი წლის განმავლობაში, ღირსი ვართ საყვედურების:—სხვა მხრივ უფრო სასარგებლო იქნებოდა საქართველოსთვის ჩემი თავდადება, ჩემი თავგანწირვა, მაგრამ თქვენ ვერ დაგვაყენეთ სწორ გზაზე. თითეული გახიზნული, რომელიც ამდენი ხანია მთა ტყეში ცხოვრობს, არა ადამიანურს სატანჯველს იტანს, უთუოდ გვეტყვის როდისმე,—მე მეგონა საქართველოს ვემსახურებოდი, ბანდიტის სახელი კი დამერქვა, თქვენი ბრალია, სწორედ ვერ მითხარით, როგორ უნდა გამომეყენებია ის დაუშრეტელი ენერგია, რომელიც მოუცია ჩემთვის ბუნებას...

ნუ გაექცევით ამ საყვედურებს, ფარდას ნუ ამოეფარებით, ვთქვათ,—უკეთესია დაგვიანებით, ვიდრე არასოდეს.

ვერავინ ვერ დამაჯერებს, რომ საქართველოს მომავლისთვის უმჯობესი იქნება ინტერვენციის, ანარქიის, ათასნაირი ექსცესების „გზით" სიარული. ამ საკითხში თამამათ შეევბრძოლები ყველას, ამაში ვერ გამიძლებს ვერც ერთი მოწინააღმდეგე, რაც უნდა „მეცნიერულათ" დასაბუთებული აზრებით გამოვიდეს ის. ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ ევროპა დაეხმარება საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ინგლისმა, როგორც ვხედავთ, იცნო რუსეთი და რაც მალე გაჰყვებიან ინგლისის მაგალითს სხვა სახელმწიფოები, მით უკეთესი იქნება თვითონ მათთვის. სიფხიზლე მართებს თითეულ ქართველს, უნდა მიიხედ მოიხედოს და შეიგნოს, რომ საქართველოს არ შეუძლია აჯანყება, აჯანყების პოლიტიკა ცეცხლში ჩაგდებს ქართველ ერს.

უნდა გაბედოს თითეულმა ჩვენგანმა იმის თქმა, რომ თითის გაუნძრევლათაც რომ მოხდეს ამ ძალაუფლების ჩამოგდება, ჩვენ საქართველოს ვერ ჩავაყენებთ უკეთეს პირობებში. ნუ მოვაწერთ ხელს იმ თამასუქებზე, რომელსაც ვერ გავანაღდებთ. ინტერვენციის და იარაღის ტრიალით კი საქართველო მოექცევა ხორცის საპრელ მანქანაში და ხსენებაც აღარ დარჩება მისი ეროვნული დამოუკიდებლობის.

ნაძრახ სიცოცხლეს სჯობია სახელოვანი სიკვდილი, მაგრამ ინტერვენცია, რეაქციონურ ძალებთან დაკავშირება ჩვენ არაფერს არ გვპირდება **ნაძრახი** სიკვდილის მეტს.

არ შეიძლება, მაშასადამე, ცარიელი თავმოყვარეობა და სულ იმის ძახილი, რომ შერიგებას სიკვდილი სჯობია. ამ ძახილში არის მხოლოდ სილამაზე სიტყვის გარეგნობის, სილამაზე უშინაარსო და ფსუდო. ვინც საზოგადო საქმის სამსახურში სარკის წინ დგება, ლამაზი მიხვრა მოხვრა მაქვს თუ არაო, ის უვარგისია და მავნებელი საზოგადო საქმისთვის.

პარტიის სახელით ხმა ისმის, ჩვენ ისევ იმ გზით ვიარეთ, არავითარი მსხვერპლი არ შეგვაშინებსო. მსხვერპლის არ უნდა გეშინოდეს, რასაკვირველია, მაგრამ წინამძღოლი მოვალე ხარ გააგებინო ვინც მოგყვება, რომელ გზაზე უფრო მიზან შეწონილი იქნება მსხვერპლი და რომელზე არა.

აქ მე გავიცანი ისეთები, რომლებიც მსხვერპლს არ მორიდებიან, ცეცხლი გაუვლიათ და ცეცხლის გამძლეობა გამოუჩენიათ... არ ვფიქრობ, ამათზე მეტი შეეძლოთ მათ, ვინც ახლა იქ ამბობენ,—ჩვენ მსხვერპლი არ გვაშინებსო...

ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური არ მაკლია, ბერმონაზონივით არ ვუყურებ წუთისოფელს და არ ვიტყვი, რომ ბრძოლაში მარტო და მარტო პირველი ხარისხის საშუალებები უნდა არჩიო. მარქსისტისთვის სავალდებულოა მხოლოდ, რომ ბრძოლის არც ერთ წუთში არ ჩამოშორდეს მუშათა კლასს, მუშათა კლასის ინტერესებს, სოციალისტურ მოძრაობას.

მე არ ვისარგებლებ ჩეკას მასალებით საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. მაგრამ მე მეუბნებიან და მეტყვიან ცალკე, ვის რა უკეთებია ცენტრალური კომიტეტის დავალებით, მე ვთხოვ ამხანაგებს ხელახლა დასწერონ და მომაწოდონ ის, რაც აქ მიუცია თავიანთ ჩვენებებში. ამ მასალებით მე არ გამიჭირდება დავამტკიცო, რომ საქართველოს სოციალ დემოკრატია ეროვნულ საკითხში არა მარტო მოშორებულია მუშათა კლასის ინტერესებს, სოციალიზმს, დემოკრატიზმს, ის დამდგარია ისეთ „ხაზზე", რომელიც დამღუპველი იქნება საქართველოს მშრომელი ხალხისთვის და ქართველი ერისთვის. პარტიის პრინციპი—„დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენ" უკვე ავსილია რეაქციონური შინაარსით, და როცა პარტიის სახელით მესმის, ამ ხაზზე უნდა ვიაროთ, მე არ შემიძლია კავშირი არ გავწყვიტო ამ პარტიასთან.

მოვუწოდებ თითეულ მუშას, გლეხს, თითეულ მენშევიკს გადაპრით უარყოს ეს გზა და საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის ხელში დაიკავოს დროშა მუშათა კლასის დიქტატურის. ეს ითქვა ყოფილი მენშევიკების დეკლარაციაში, და ეს უნდა გაიხადოს თავისი მუშაობის სახელმძღვანელოთ ყველამ, ვისაც არ დაუკარგავს კავშირი სოციალიზმთან.

მუშათა კლასის დიკტატურა საერთოშორისო სოციალისტური აზრია და სავალდებულო თვითეული სოციალისტისთვის. ეს დედააზრი მარქსიზმის მე არ შემიძლია დავუთმო მარტო ბალშევიკებს. პირველათ ეს დაიწერა იმ პროგრამაში, რომელიც პლეხანოვმა და ლენინმა მიაწოდეს რუსეთის მუშათა მოძრაობას.

სადაოა მხოლოდ რა ფორმა, რა გამომეტყველება უნდა მიეცეს დიქტატურას. მარქსისტისთვის ამ საკითხში არ არსებობს საყოველდროიო საყოველადგილო ჭეშმარიტება. მაგრამ რუსე-

*) ეს წერილი კომუნისტის რედაქციას გადაუთარგმნია ჩემი რუსული ხელნაწერიდან. აქ იბეჭდება ისე, როგორც მჭონდა დაწერილი ქართულათ.

ს. დ.

თში და საქართველოში არის ერთად-ერთი გზა: —მშრომელმა ხალხმა აქ უნდა იაროს დიქტატურისკენ საბჭოთა სისტემის გზით. საბჭოთა კონსტიტუცია თავისთავათ მთელი ევროპის კონსტიტუციებში ყველაზე უფრო დემოკრატიულია, და თუ აქამდის ვერ ტარდება სინამდვილეში, ამის მთავარი მიზეზია პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ მიმართული. რაც მალე გათავდება, მოიხსნება ეს ბრძოლა, მით უფრო ადვილათ და სავსებით შეუსისხლხორცდება საბჭოთა სისტემა მუშურ-გლეხურ დემოკრატიზმს.

მივმართავ ყველას ს. დ. პარტიიდან გამოსულებს.—ნუღარ დაიწყებთ აქეთ იქით ქანაობას, არ შეგერყესთ ხელში დროშა მუშათა კლასის დიქტატურის, შემჭიდროვდით ამ დროშის ქვეშ. თქვენ უნდა ამოგიდგენ გვერდში, ვინც არის კიდევ დარჩენილი პარტიაში. მე ვიქნები თქვენთან ერთად.

ჩემი ღრმა რწმენაა, ქართველი ერის საკეთილდღეო ნაყოფიერი საქმიანობა მოეწყობა შემდეგი დებულებების სარჩულზე.

I

საქართველო დაკავშირებულია საბჭოთა რესპუბლიკებთან, თანდათან მტკიცდება საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის. ეს ფაქტი უნდა დაედოს საფუძვლათ საქართველოს ეროვნულ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირიდან გამოცალკევება მოითხოვს ახლა ისეთ ბრძოლას, რომელშიაც საქართველო ვერ აცდება რეაქციონურ ძალებთან დამეზობლებას. ამ ბრძოლის ხაზზე ის უსათუოდ მომხრე გახდება ინტერვენციის, ანარქიის, ხანგრძლივი ომების. ეს შექმნის გამანადგურებელ პირობებს საქართველოსთვის. ქართველი ერი ვერ მოისვენებს ვერც ერთი წუთით ეკონომიური და კულტურული მუშაობისათვის. ეს იქნება გზა ეროვნული გადაშენების და არა წინმსვლელობის.

საქართველოსთვის არ იქნება ხელსაყრელი არც ნებაყოფლობითი გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან. ცალკე სახელმწიფოებრივი არსებობა თავის თავათ არ ნიშნავს ეროვნულ დამოუკიდებლობას. შეიძლება ერს ქონდეს თავისი სახელმწიფოებრივი აპარატი და არსებითათ კი დამოკიდებული იქნეს სხვა სახელმწიფოებისგან. დღევანდელ საერთაშორისო პირობებში ცალკე სახელმწიფოებრივი არსებობით საქართველო ვერ შეირჩენს ეროვნულ დამოუკიდებლობას, პირიქით, ის იძულებული გახდება მიეკედლოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. მისი სრული ეკონომიური დამონება სასყიდელი იქნება იმ „მფარველობის“, რომელსაც ისინი გაუწევენ რუსეთის წინააღმდეგ. საქართველო შეიქნება უცხო პოლიტიკის ობიექტი და ჩავარდება ამ მხრივ გაცილებით უარეს მდგომარეობაში, ვიდრე პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვ.

აწინდელ ისტორიულ ხანაში ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი ფორმა ვერ შეიგუებს ეროვნულ დამოუკიდებლობას. ეროვნული მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მშრომელი ხალხის მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებს. პროლეტარული რევოლიუციის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობა, მისი ერთად ერთი დასაყრდნობი წერტილია პროლეტარიატის დიქტატურა.

ჩვენთან არის.

(სეით დევდარიანს)

მახსოვს, როცა: შავ-ბნელ ქაოს
გაეშალა შავი ფრთები.
ბრძოლას ბეცსა და ამაოს
შორს მიჰქონდა გულის ხმები.
მახსოვს როცა: იყო ბჭობა:
შრომის ცნობა
ან თუ მტრობა
ის ამბობდა: მასთან ძმობა.
ჰაუ... ჩუმად... დაიცადე—
ღრუბელთ ბადე
მზეს შორდება
და მზე მალე გამოჩნდება...
მეხმა ცაში დაიტეტა
და დაჭფოითა ღრუბელთ თექა.
ცას გაეკრა სადმე ელვა
და დაიწყეს ზღვებმა ღელვა
ყველას ესმა ეს სიგნალი—
და სარდალი
მოდის რაშით—
ლეგიონი ხვდება ტაშით...
აწ ჩვენს სანგრებს
ვინ დაანგრევს.?
ჩვენ ბევრი ვართ... მილიონი...
ძლიერი ვით სტიქიონი..
ავი სული
განწირული
ეხეთქება ღია კარებს
და გონება დაკარგული
თავის ბედსა დახარხარებს.

გაროლდი.

საბჭოთა სისტემა გზას იკაფავს ასეთი დიქტატურისაკენ. საქართველოს ეროვნული პოლიტიკა სავსებით უნდა შეუთავსდეს ამ სისტემას. საბჭოთა კავშირის მთლიანი ფრონტი უნდა დაუპირდაპირდეს ყოველივე იმპერიალისტურ, მონარქისტულ ფაშისტურ საშიშროებას, რომელიც უფსკრულში გადააგდებს ქართველ ერს. უარყოფა ინტერვენციის, აქტიური **იდეური** ბრძოლა საინტერვენციო პოლიტიკის წინააღმდეგ და იმ პარტიებთან, რომლებიც ამისთანა პოლიტიკას აწარმოებენ, ომი ინტერვენციის მოსაგერებლად, თუ ფაქტიურათ დაიწყება ინტერვენცია, ეს არის და ეს უნდა იყოს გზა საქართველოსი ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ. საბჭოთა ძალა უფლების საწინააღმდეგო მუშაობა უნდა გათავდეს აქ და საზღვარგარეთ, და ამის მიხედვით წითელი ჯარის ერთად-ერთი მიზანი უნდა იქნეს საქართველოს გარეშე საზღვრების დაცვა. ჯარის გაყვანის მოთხოვნა საინტერვენციო პოლიტიკის დროს რეაქციონური მოთხოვნაა, პირიქით, შეიძლება საქართველოს გარეშე საფრთხის ასაცილებლათ დასჭირდეს რუსის ჯარები, თუ რუსეთს ისევ სამოქალაქო ომები დაეწყო და დროებით მოუხდა საქართველოს დატოვება.

საქართველოს უნდა ჰყავდეს თავისი წითელი ჯარი და იმის შექმნას ყოველი მხრივ ხელი უნდა შეუწყოს თითეულმა ქართველმა.

II

ეროვნული დამოუკიდებლობის თავი და თაი **პირობაა** ეკონომიური განვითარება, საკუთარი საწარმოო ძალების ზრდა. საქართველომ უნდა გამოიყენოს ამ მხრივ საბჭოთა კავშირი და თავიდან აიცილოს კოლონიათ გადაქცევის საფრთხე, რომელსაც ქმნის იმავე კავშირში ნეპის ბურჟუაზია. სამეურნეო ამშენებლობა უნდა მოეწყოს კომ. პარტიის მე XII ყრილობის პრინციპებზე. პრაკტიკულათ გატარება ამ პრინციპების საკმაო თავდებია დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკონომიური დამოუკიდებლობის. საკავშირო თანამშრომლობით ხელი უნდა შეეწყოს საქართველოს ეკონომიურ ნაციონალიზაციას, როგორც საფაბრიკო-საქარხნო, ისე სასოფლო მეურნეობის წინსვლას.

საქართველოს უნდა ექნეს საკმაო სანედლეულო ფონდი თავისი მრეწველობისათვის, რომ ეს უკანასკნელი არ განიცდიდეს ნედლი მასალის ნაკლებობას. რუსეთის მრეწველობის წარმომადგენელი დაწესებულებები თუ კერძო პირები საქართველოს უმაღლესი ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით უნდა აწარმოებდენ ნედლი მასალის ყიდვა-გაზიდვას საქართველოდან.

ფინანსიური დახმარებით, სესხით სახელმწიფო მხარს უნდა უჭერდეს არა მარტო ღირებულებიანი მცენარეულობის კულტურას(Культура ценных растений), არამედ ადგილობრივ მძიმე მრეწველობის დარგებსაც.

საკავშირო სამეურნეო გეგმის ფარგლებში სახელმწიფომ აქტიურათ უნდა დააყენოს საკითხი ადგილობრივი, ჯერ კიდევ ხელშეუხებელი ბუნებრივი სიმდიდრის ასამუშავებლათ (ტყეარჩელის ქვანახშირი, შირაქის ნავთი და სხვ.).

სამრეწველო ძირითადი და საბრუნავი თანხების გასაძლიერებლათ საქართველოს უნდა ქონდეს თავისი საექსპორტო ფონდი, როგორც ეს დადგენილია საკავშირო მთავრობის მიერ განაპირა რესპუბლიკებისთვის.

საბაჟო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს საკავშირო მეურნეობის დაცვა გარეშე მეტოქეობისაგან, საქართველოსთვის ეს პოლიტიკა უნდა ტარდებოდეს ისე, რომ მუშას და გლეხს არ გაუძვირდეს პირველი საჭიროების საგანი. გაძვირება კი აუცილებელი იქნება, თუ მაღალი საბაჟო გადასახადების დროს შინაური ბაზარი არ იძლევა ამისთანა საგანს უფრო იაფ ფასებში.

ეკონომიური შემჭიდროების (смычка) პოლიტიკა, რომელიც აქტიურათ დაწყებულია რუსეთში (ფასების დაწევის, კოოპერაციის საშუალებით) აქტიურათ უნდა გატარდეს საქართველოშიაც.

სახელმწიფომ უნდა მოაწესრიგოს ის წვრილი წარმოება, რომელიც ამზადებს გლეხის სახმარ საქონელს. გლეხს საშუალება უნდა მიეცეს ნისიათ და დაკლებულ ფასებში შეიძინოს ხელმე საჭირო საქონელი.

კოოპერატიული განყოფილებები ადგილ-ადგილ უნდა დაუკავშირდენ სოფელს სასოფლო კომიტეტების საშუალებით, რომ გლეხს ნდობა ქონდეს კოოპერატივის, მისით იძენდეს, რაც სჭირდება და მით ასაღებდეს, რაც ზედმეტი აქვს თავის მეურნეობაში.

სოფლის მეურნე, რომელსაც მოუდის მხოლოდ საყოფი მოსავალი და სხვა წყაროები არ აქვს, განთავისუფლებული უნდა იქნეს ყოველნაირი გადასახადისაგან. გადასახადების განაწილება და აღება უნდა ხდებოდეს სასოფლო კომიტეტების საშუალებით.

მთავრობამ უნდა გამოიკვლიოს მიწის განაწილების შედეგები სოფლის წვრილ მესაკუთრეებში და შეასწოროს თუ სადმე ადგილი ქონდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული ხაზის გადახრას, ან საერთოთ ისეთ უსამართლობას, რომელიც არ შეეფერება ძალაუფლების პრინციპებს მიწის რეფორმაში.

შრომის უფლება პოლიტიკური რწმენის გაურჩევლათ ყოველ მუშას და გლეხს, რომელიც არ ებრძვის საბჭოთა ძალაუფლებას და არ შედის არც ერთ იმის საწინააღმდეგო ორგანიზაციაში.

III

კულტურული ამშენებლობის ასპარეზზე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ენას. მისი უპირატესობა უნდა იქნეს დაცული საქართველოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში. სასტიკი რეპრესიული ზომები უნდა იქნეს ხოლმე მიღებული მათ წინააღმდეგ, ვინც ყოველდღიურ პრაქტიკაში დაარღვევენ ამ უპირატესობას.

ქართული სკოლა და ბეჭდითი სიტყვა უნდა დაუახლოვდეს სოფელს. სოფელს უნდა მიეცეს უფასო პირველ დაწყებითი სკოლა და სამკითხველო. სახალხო სახლი, თეატრი, კინემატოგრაფი. უნდა მოეწყოს ფართო ორგანიზაციები წერაკითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ. ხელი უნდა შეეწყოს კულტურული წრეების გავრცელებას სოფელთან დასაკავშირებლათ.

წიგნის გამოცემა უნდა დადგეს ფართო უზრუნველყოფის ნიადაგზე. სახელმწიფო გამომცემლობას უნდა ექნეს უფრო სისტემატიური და არა შემთხვევითი ხასიათი. უნდა ექნეს ცალკ-ცალკე სექციები: ძველი, ახალი, თანამედროვე მწერლობის, კრიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების, მარქსისტული ნათარგმნი და ორიგინალური ნაწერების, უცხოეთის მხატვრული მწერლობის. ძველი ქართველი მწერლების გამოცემა უნდა მოეწყოს აკადემიური სახით, უნდა იცემოდენ მთლიანათ და არა მარტო რჩეული ნაწერებით.

დამკვრელი წესით უნდა დაისვას საკითხი ქართული სახელმძღვანელოების შესახებ საშუალო სკოლის და უნივერსიტეტისთვის.

სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი საგამომცემლო ფონდის შექმნას სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, ახალ და პროლეტარულ მწერალთა კავშირებისთვის. ფინანსიური დახმარება, სესხი უნდა ეძლეოდეს კერძო გამომცემლობას.

კულტურის საკითხია სარწმუნოება. სარწმუნოების წინააღმდეგ საჭიროა სისტემატიური პროპაგანდიდან აგიტაციური ბრძოლა. მაგრამ ადგილი არ უნდა ექნეს ადმინისტრატიული ხასიათის ბრძოლას. სარწმუნოების საკითხი არ გადაიჭრება არც ხმის უმეტესობით. რაც უნდა მცირე რიცხვი იყოს ამა თუ იმ სოფელში მორწმუნეთა რიცხვი, უფლება არ უნდა წაერთვას დაიკმაყოფილოს თავისი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი. ყოველნაირი ექსცესების წინააღმდეგ სარწმუნოებასთან ბრძოლის ნიადაგზე მიღებული უნდა იქნეს რეპრესიული ზომები.

ბეჭდითი სიტყვა უნდა აშუქებდეს კულტურულ-ეკონომიური ამშენებლობის პრინციპებს და პრაქტიკას, ბეჭდითი სიტყვის ხმა უნდა ისმოდეს ყოველთვის, როცა ყოველდღიური პრაქტიკა არ ეთანხმება პრინციპებს.

თავისუფალი კრიტიკა ხელს უნდა უწყობდეს კულტურულ-ეკონომიურ ამშენებლობას ყოველ დარგში, კრიტიკა უნდა იყოს მხოლოდ საქმიანი და საბჭოთა სისტემის სრულ ცნობაზე დამყარებული.

ეს არ ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პრინციპებს, პირიქით, პრაქტიკული გამოხატვა იქნება ამ პრინციპების და ყოფილი მენშევიკების დეკლარაციის საქართველოს საკითხში.

ამ თანამშრომლობის პრინციპებზე უნდა შეიკრას და გამტკიცდეს ახალი ეროვნული ფრონტი. აქ უნდა მიიტანოს თავისი ძალღონე ყველამ, ვინც ემსახურება მშრომელი ხალხის და მთელი ერის მომავალს.

ვეუბნები შორიდან ნოე ჟორდანიას,—მოდი გეძახის შენი ხალით ნარწევი აკვნიდან გამოსული მუშათა კლასი, ვეუბნები დატუსაღებულებს, ყველას, ვისაც კი მიწვდება ჩემი პატარა ხმა, მოახმარეთ თქვენ თქვენი ნიჭი, ენერგია იმ დიად მუშაობას, რომელიც შესაძლებელია საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე და გწადმესთ მომავალი საქართველოსი.

ს. დევდარიანი.

სალამი.

სეითი მოვიდა ჩვენთან...

ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დავდექით იმ გზაზე, რომელსაც დღეს იწონებს სეითი...

ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ დიდი კამათი გვქონდა სეითთან.

ეს კამათი ხშირად იღებდა მწვავე ხასიათსაც.

მაგრამ ერთი ყველასათვის იყო აშკარა

—ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო, რომ სეითი, ს. დ. პარტიაში ყველას მიერ პატივით და სიყვარულით აღჭურვილი პიროვნება, ყოფილიყო ჩვენს რიგებში.

რამდენიმე ორასი მუშა, მისი მოწაფენი, როცა დადგნენ ახალ გზაზე და ზურგი აქციეს ძველ ტაქტიკას, მოითხოვდენ, რომ მათთან ყოფილიყვნენ ძველი მასწავლებლები...

ჩვენ გვწამდა ს. დევდარიანის გულწრფელობა..

ვიცოდით ისიც, რომ მან, მიუხედავათ იმისა, რომ ის იყო ცეკას თავმჯდომარე, არ იცოდა ბევრი რამ, თუ რა კეთდებოდა პარტიაში, როგორი ავანტიურულ გზაზე იყო დაქანებული პარტია.

ჩვენ ვიცოდით, რომ სეითის ხელი არ იყო გასვრილი იმ ჭუჭყით, რომლითაც აავსეს მენშევიკური პარტია ავანტიურისტებმა.

და დარწმუნებული ვიყავით, რომ სეითი ერთ წამსაც არ გაჩერდებოდა ამ პარტიაში, თუ კი დარწმუნდებოდა ყველა იმის სიმართლეში, რასაც ჩვენ ვაბრალებდით ჩვენს ყოფილ პარტიას.

ს. დევდარიანის ღია წერილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ, უკვე იყო სიმპტომი იმისა, რომ სეითი მოვიდოდა ჩვენთან...

ამ წერილის შემდეგ სეითმა მიიღო ბევრი საყვედური ცეკაში...

ავანტიურისტულ ელემენტს არ მოეწონა სეითის გულწრფელი ძიება ახალი გზის...

ამავე დროს თვით სეითიც არ იყო დარწმუნებული, თუ რამდენად მართალი იყო ჩვენ მიერ აღნუსხული ბრალდებანი...

ის შეჩერდა შუაგზაზე...

ჩვენ მიერ გაწვდილი ხელი შეჩერდა ჰაერში...

მაგრამ ეს ხელი უცდიდა მას...

ჩვენ გვჯეროდა, რომ სეითი დიდხანს ვერ დარჩებოდა იმ წუმპეში, რომელიც დაგუბებული იყო მენშევიკურ პარტიაში.

და როცა გაეცნო სეითი ყველა მასალებს, ღრმა ანალიზი გაუკეთა პარტიაში შექმნილ მდგომარეობას, ის ანებებს მას თავს და მოდის ჩვენთან...

ჩვენ მივესალმებით სეითის ნაბიჯს...

დღეს სეითმაც დაანება თავი იმ პარტიას, რომლის „პრინციპი – დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისკენ— უკვე გაივსო რეაქციონური შინაარსით“

—როცა მე მესმის პარტიის სახელით, რომ ის მომავალშიაც ამავე გზით წავა, მე არ შემიძლია არ გავწყვიტო კავშირი ამ პარტიასთან,—ამბობს ს. დევდარიანი თავის საბოლოო სიტყვაში.

ესაა ლოგიკური ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას ყველა გულწრფელმა რევოლიუციონერმა, რომელსაც სწამს მშრომელი მასის სამსახური..

ჩვენი ყოფილი პარტიის ბელადებიდან ს. დევდარიანი პირველი მერცხალია, რომელიც მოვიდა ჩვენთან,.. იმ მასასთან, რომელთანაც ერთად ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა სოციალიზმის დროშის ქვეშ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ პირველ მერცხალს მოყვებიან სხვებიც...

და მენშევიკური პარტიის ნანგრევებზე მაგრათ დავიჭერთ ხელში პროლეტარიატის დიქტატურის დროშას, მტკიცეთ შემოვკრბებით კომუნისტური პარტიის ირგვლივ...

ა. რუხაძე.

ჩვენი მორიგი ამოცანები.

ისტორიამ მეტად დიდი რევოლიუციონური საქმის შესრულება გვარგუნა ჩვენ წილად.

ჩვენ მოვახდინეთ იმ პარტიის ლიკვიდაცია, რომელსაც ცარიზმის წიააღმდეგ ბრძოლაში არა ერთი და ორი ლამაზი ფურცელი შეუტანია რევოლიუციის ისტორიაში, მაგრამ უკანასკნელ წლებში ის დაიბნა და თავი ვერ გაართვა ეპოქის სიმძიმეს.

მისი ხაზი „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ იმდენად გაკოტრდა, რომ მას მისი ერთგული მიმდევრებიც აღარ იცავენ და მარტო ეროვნული საკითხის საფარველის ქვეშ გვებრძვიან.

ისტორიამ იცის პარტიის გაყოფა, რასკოლი, მაგრამ ისტორიას არ უნახავს პარტიის ისე დახურდავება და დაჩიავება, როგორც ეს მენშევიკურ პარტიას მოუვიდა,

მენშევიკური პარტია, როგორც მუშათა პარტია, დაინგრა, დღეს მენშევიკურ პარ-

ტიაზე ლოცულობს სულ სხვა ჯურის ხალხი, რომელსაც მუშებთან არაფერი საერთო არ აქვთ.

ეს არის ქართველი საზოგადოების მესჩანური ნაწილი, ყოფილი აფიცრობა, მღვდლები, ვაჭრები და სხვა ამ გვარი „დემოკრატიული მასსა“. ტყუილად კი არ თქვა არალეგალურ კონფერენციაზე ქუთაისში კონფერენციის თავმჯდომარემ, რომ ჩვენ ახლა მთელი ერის საქმეს ვაკეთებთო.

ჩვენთვის ცხადია, რომ ამ „დემოკრატიულ“ მასსას არავითარი რეალური ძალა არ აქვს და არც ექნება, მისი ბუზღუნი ვერ გასცილდება ცალიერ ბუზღუნის ფარგლებს, მაგრამ ჩვენის აზრით ამ სახის შეურიგებლებთანაც საჭიროა ბრძოლა. განსაკუთრებით საჭიროა შეგნების შეტანა მენშევიკური პარტიის იმ ნაწილში, რომელიც მენშევიკებს ჩამოშორდა ორგანიზაციულად და იდეიურად, მაგრამ კომპარტიაში ჯერ არ ჩაწერილა.

ამ მიზნით გამოდის ჩვენი ორგანო „სიმართლის ხმა“ და ვამბობთ, რომ თითეული შეგნებული ამხანაგის ვალია ხელი შეუწყოს მის ფართოდ გავრცელებას. პროვინციის ყოველ კუნჭულს უნდა მიწვდეს ჩვენი ხმა. ყველამ უნდა გაიგოს სიმართლე მენშევიკური პარტიის „მოქმედების“ შესახებ. არ უნდა დარჩეს არც ერთი სოფელი რომ ჩვენი ხმა არ მიდიოდეს.

დღეის შემდეგ ჩვენთან არის სოც. დემოკრატიულ პარტიაში კარგად ცნობილი, როგორც ჩვენში საქართველოში, ისე რუსეთში, მის ერთ-ერთ ბელადთაგანი ამხ. სეით დევდარიანი.

ამიერიდან სეითის მოქნილი კალამი ყველას გასაგონად და გასაგებად დაასაბუთებს მენშევიკური ხაზის უსწორობას, დემოკრატიზმის პრინციპის უვარგისობას პროლეტარიატის დიკტატურის უპირატესობას.

თვითეული მუშა, გლეხი უნდა გაეცნოს იმ წერილებსაც, რომელიც სეით დევდარიანმა უკანასკნელ ხანებში დაბეჭდა „რა ვქნათ“-ის სათაურით.

მე ვფიქრობ, რომ ეს წერილები უნდა გამოიცეს ცალკე წიგნაკად და ფართოდ გავრცელებულ იქნას ხალხში. ამ წერილებში მოთავსებულია სიმართლე მარტივად და ეს ყველამ უნდა გაიგოს.

ყოფილი მენშევიკებში უნდა იქნას წარმოებული ფართო მუშაობა კომპარტიაში შესასვლელად მოსამზდებლად. ჩვენი ამხანაგები ნელნელა უნდა შეჩვეულ იქნან კომუნისტურად აზროვნებას, ფიქრს, მუშაობას, მოქმედებას.

თითეული ყოფილი მენშევიკი, პარტიაშია ის თუ პარტიის გარედ, სულ ერთია, გულწრფელად და მთელი თავისი ძალღონით, ენერგიით უნდა უწყობდეს ხელს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, გამაგრებას. ეს გამომდინარეობს ჩვენი ყრილობის და კონფერენციების დადგენილებებიდან.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი წვლილი საბჭოთა აპარატის გასამაგრებლად ჩვენ მიერ მიტანილი, ლახვარია საერთაშორისო ბურჟუაზიის და ფაშიზმის გულში ჩასობილი.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეზეა დამოკიდებული მუშათა კლასის გამარჯვება, მისი მომავალი. ამიტომ ჩვენი სული და გული, ჩვენი ყოველგვარი აზრი და ფიქრი ამ ხელისუფლების გამაგრებას უნდა მოვახმაროთ.

დღეს დამკვრელ ამოცანადაა აღიარებული მუშა და გლეხის დაკავშირება, დაახლოვება.

ამ ფრონტზე ყოფილმა მენშევიკებმა ენერგიულად და მთელი თავისი არსებით უნდა იბრძოლონ. უამისოდ ყველაფერი ამაო იქნება და დავიღუპებით. ვისაც საბჭოთა სისტემის დაღუპვა არ უნდა, ვისაც პროლეტარიატის დიკტატურის დროშის ხელიდან გაშვება არ სწადია, მან მუშა და გლეხის დაკავშირების საქმეს უნდა შესწიროს მთელი თავისი ცოდნა, ენერგია, ღონე. ამ კავშირის განმტკიცება დაგვიტოვა ჩვენ ანდერძად უდიდესმა მასწავლებელმა ლენინმა, და ჩვენ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს უნდა შევსძლოთ.

ჩვენი ამხანაგები მრავლად მოიპოვებიან სოფლად. ბევრნი კოოპერაციის მუშაობაშიაც არიან ჩაბმულნი. კოოპერაციის საშვალებით მუშა და გლეხის დაკავშირება, აი რა უნდა დაისახონ სოფლად მომუშავე ამხანაგებმა მიზნად.

ამ ექვსი წლის განმავლობაში მუშათა კლასმა უდიდეს გაჭირვებებს დაახწია თავი, მეტად რთული პირობებიდან გამარჯვებული გამოვიდა და ჩვენ გვჯერა, რომ ამ შემთხვევაშიაც გავიმარჯვებთ.

მხოლოდ საჭიროა შრომა, შრომა და კიდევ შრომა.

გ. ვარდოიანი.

მას

უმზეო სასახლე, საწყალი დღის.
ღიმილს და სიწყნარეს ეღირსა ძლივს.
ღამეში ყორანი კვლავ შხამავს გზას—
სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი მას.
მთის შუქი არ გაყვა გოლგოთის გეზს.
ბრძოლა და ნამუსი კვლავ გულში ძევს.
ყოჩაღი დარაჯი საზღვარზე დგას—
სალამი, სალამი, სალამი მას.
მიდამო მთვარეში სიჩუმეს ჰფენს.
დილაზე ჩვენება გადიცვლის ფერს.
ვინც შურდულს უმიზნებს მომავლის თქმას:
ლახვარი, ლახვარი, ლახვარი მას.
სინათლე დაფარავს აჩრდილის ტყეს.
მიწაზე სიბნელე ვერ გაშლის ფრთებს.
მიდის შორს და მღერის მგზავრი თვის ხმას—
სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე მას.
უმზეო სასახლე, უმზეო დღის.
ღიმილს და სიწყნარეს ეღირსა ძლივს.
ვინც კიდევ ადიდებს ტკივილს და წვას:
სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი მას.

ჭაგნელი ბზიკი.

უკანასკნელი იმედების გაცრუება

საქართველოს კონტრ-რევოლიუცია და მისი სულის ჩამდგმელი მენშევიზმი დიდს იმედებს ამყარებდნენ ინგლისზე.

ვის არ ახსოვს როგორი სიხარულით შეხვდენ ისინი მაკ-ნეის გამოსვლას ინგლისის პარლამენტში „საქართველოს“ საკითხის ირგვლივ, რა დიდ იმედებს ამყარებდენ მაკდონალდზე და სნოუდენზე, როგორ ითვლიდენ დღეებს, რომ საცაა კომუნისტები წავლენ საქართველოდან და შავი ზღვიდან ინგლისი მოადგება ჩვენს ქვეყანას.—

როცა მუშათა მთავრობა მაკდონალდის მეთაურობით შესდგა ინგლისში, ეს იმედი გაუორკეცდა კონტრ-რევოლიუციას.

— რუსეთს არ იცნობს ინგლისი მანამ, სანამ საქართველოდან არ წავლენ კომუნისტებიო—ამბობდა კონტრ-რევოლიუცია მენშევიზმის პირით.

მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

მუშათა მთავრობამ იცნო არა მარტო რუსეთის მთავრობა, არამედ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

იცნო ეს კავშირი იმიტომ კი არა, რომ ინგლისის ეხლანდელ მთავრობას ძალიან უყვარს კომუნიზმი.

იცნო იმიტომ, რომ ეს იყო მოთხოვნილება ინგლისის მუშათა კლასის, ამას მოითხოვდა ინგლისის კომპარტია, რომელიც დღითიდღე ძლიერდება ინგლისში.

გარდა ამისა ინგლისს ეკონომიური მოსაზრებითაც ესაჭიროებოდა რუსეთის ცნობა და მასთან სავაჭრო ხელშეკრულობის დადება.

ინგლისის მთავრობა არც ისე სულელი იყო, რომ მოეთხოვა მუშათა კლასის მიერ არჩეულ და სრული ნდობით აღჭურვილი მთავრობის საქართველოდან განდევნა.

ინგლისისა და იტალიის მიერ საბჭოთა რესპუბლიკების ცნობა დიდი ფაქტორია ჩვენს ცხოვრებაში.

ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოთა მთავრობას, ქმნის საუკეთესო ბაზას ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკურ გამაგრებისთვის.

ხოლო საბჭოთა მტრებს კი თავბრუ ესხმით, უკანასკნელი იმედები უცრუვდებათ და ფეხიდან ეცლებათ ყოველივე ნიადაგი.

მეორე ფაქტი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დღით შეასხა ფრთები კონტრ-რევო-

ლიუციას, ეს იყო ილიჩის სიკვდილი.

იფ ჭრეს, ესაა ეხლა დაინგრევა კომუნისტური პარტიაო.

პარტიაში ცხარე კამათი პარტიის ახალ ამოცანებზე არ იყო დამთავრებული, რომ ლენინი მოკვდა.

კონტრ-რევოლიუციამ იფიქრა, ეხლა კი დაირღვევა, დაიშლება კომუნისტური პარტია.

მაგრამ აქაც ნაცარში ჩაუვარდათ კოვზი. ლენინის სიკვდილმა უფრო შეამჭიდროვა პარტია.

ამ დიდმა უბედურებამ პარტიის მთელი აქტივი მტკიცეთ შემოკრიბა პარტიულ ორგანოების ირგვლივ.

გარდა ამისა უპარტიო მუშებში თავი იჩინა კომპარტიისკენ დენამ.

დღეს უპარტიო მუშები ფაბრიკა-ქარხნებში იკრიბებიან და გამოაქვთ რეზოლიუციები კომპარტიაში მიღების შესახებ.

კომუნისტური პარტიის გავლენა, ავტორიტეტი საოცრად გაიზარდა. ფართე მშრომელი მასა ამ პარტიას ისახავს თავის პარტიად და მთელი ძალღონით ამაგრებს, აძლიერებს მას.

კონტრ-რევოლიუცია აქაც მოტყვილდა ანგარიშში. და მას დარჩენია მხოლოდ ერთი:

— ბაბილონის მდინარეთა ნაპირებზე ღვაროს ცხარე ცრემლები დამსხვრეულ იმედებზე.

პლებეი.

კომპარტიის რიგებისაკენ.

დღეს უდიდესი მნიშვნელობის კომპანია სწარმოებს.

კომუნისტური პარტიის შტაბმა, ცენტრალურმა კომიტეტმა დამკვრელი ლოზუნგი გადმოისროლა და შეუდგა კიდეც მის ცხოვრებაში გატარებისათვის მუშაობას. ჩვენ ვლაპარაკობთ ამ დღეებში გამოქვეყნებულ კომპარტიის ცეკას დადგენილებაზე:—

— შეყვანილ იქნას პარტიის რიგებში 100.000 მუშა დაზგასთან მომუშავე, წარმოებაში ჩაბმული ახალი ცხოვრების უშუალო შემომქმედი და გამჭედი პროლეტარები. უდიდესი მნიშვნელობის არის ეს დადგენილება.

უდიდესი იმიტომ, რომ კომპარტიის მიერ ამ ლოზუნგის გადმოსროლას წინ უძღოდა მუშების ფართო მასსის ლტოლვა კომპარტიის რიგებისაკენ. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჩვენი დიდი ბელადი ილიჩი ცოცხალი იყო, ს. ს. რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე ძირიანათ შეიცვალა განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და კომპარტიისადმი ფართო მასსებში.

საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელთა მიერ სწორედ აღებულმა გეზმა მოაღონიერა და განამტკიცა მისი მდგომარეობა და ფართო მასსებს თვალხილულად დაანახა, დაარწმუნა ისინი იმაში, რომ საბჭოთა წყობილება, მუშურ გლეხური ხელისუფლება, ეს ერთად ერთი ხელისუფლებაა, რომელსაც თანამედროვე პირობებში შესწევს ძალ-ღონე, წესიერად და მართებულად გაუძღვეს ქვეყნის ეკონომიურ —პოლიტიკურ ცხოვრებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ფაბრიკა ქარხნების ფეხზე წამოდგომამ და წარმოების შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებამ, ერთის მხრივ აღადგინა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მსვლელობა, ხოლო მეორე მხრივ დაუბრუნა ქარხნებს ათასი და ასი ათასი პროლეტარები, რომელნიც რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის პროცესში იძულებული იყვნენ მოცილებულიყვნენ ქარხანას. და ან მონაწილეობა მიეღოთ სამოქალაქო ომებში ან და სოფლისათვის მიეშურებიათ. პურის საკითხი, რომელიც ძალიან მწვავეთ იდგა სამოქალაქო ომის პროცესში ჩვენს ქალაქებში და აგრეთვე ქარხნებში ნედლი მასალისა და სათბობის უქონლობა მიერეკებოდა პროლეტარიატს ქარხნიდან და ამ რიგათ პროლეტარიატი, როგორც კლასი, გადაგვარების გზაზე იყო შემდგარი.

ეს თავის დროზე აღნიშნა გენიალურმა ბელადმა ერთ ერთ თავის სიტყვაში.

მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ, გაცხოველება დაეტყო მთელი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, ამუშავდა ფაბრიკები ქარხნები და პროლეტარიატიც თავის ადგილზე გაჩნდა. სამოქალაქო ომების გათავებამაც დიდათ შეუწყო ხელი ამ გარემოებას.

ამ რიგათ დღეს ჩვენ უკვე საკავშირო ტერიტორიაზე საკმაოთ მოღონიერებული და ძლიერი რაზმი გვყავს პროლეტარიატის.

ბუნებრივია, რომ კლასი რომელიც ექსპლოატაციის მძიმე უღელს განიცდის საზოგადოთ, ეძებს ისეთ პარტიას ან და უკეთ რომ ვსთქვათ თვით ქმნის ისეთ პარტიას, ორგანიზაციას, რომლებიც მის ინტერესებს გამოხატავს და იცავს კიდეც მას შესაფერისი სიმტკიცითა და ენერგიით.

ჩვენს სინამდვილეში ასეთი პარტია მუშათა კლასის პარტია, კომუნისტური პარტია არის და მუშათა ფართო წრეებში გაძლიერდა კიდეც ლტოლვა კომპარტიისაკენ.

ეს ლტოლვა განსაკუთრებული სიძლიერით კომპარტიის ხელმძღვანელის და ბელადის ამხ. ილიჩის გარდაცვალების შემდეგ გამოაშკარავდა

მუშები დაზგასთან მდგომი ათეული წლების განმავლობაში, შრომის ვეტერანები, კოლექტიურათ გზავნიდენ იაჩეიკებში და პარტკომებში განცხადებებს პარტიაში მიღების თხოვნით. ცენტრალურ კომიტეტს იმ პარტიისა, რომელიც მუშათა პარტიას წარმოადგენს, ანგარიში უნდა გაეწია ასეთი მდგომარეობისათვის.

მან შესაფერისი დადგენილება მიიღო და მუშათა ფართო წრეებს გაუადვილა შესვლა კომპარტიაში.

დღეს მთელს ტერიტორიაზე ს. ს. რ. კავშირსა სწარმოებს ეს კომპანია.

ჩვენი ვალია ყურადღებით მოვეპყრათ ამ მოვლენას.

ჩვენშიაც მრავლათ არიან ამხანაგები მუშები რომელნიც ერთხელ და სამუდამოთ მოსცილდენ მენშევიზმს და რევოლიუციის წითელი დროშის ქვეშ დადგნენ, არც ერთი დაზგასთან მომუშავე ყოფილი მენშევიკი—პარტიის გარეთ.

აი ლოზუნგი, რომელიც უნდა გადავისროლოთ ჩვენ ჩვენს ამხანაგ მუშებში. და ვეცადოთ კიდეც განვახორციელოთ ის. თბილისის ორგანიზაციების 1000 ახალი კომუნისტებში საკმაო რიცხვი ჩვენი ამხანაგებისა უნდა იყოს.

ჩვენი ამხანაგები, ყოფილი მენშევიკები მუშები, გამოცდილი, გამობრძმედილი რევოლიუციონურ ბრძოლებში უნდა დავრაზმოთ კომპარტიის რიგებში.

აი მორიგი დამკვრელი ამოცანა.

საკავშირო ტერიტორიაზე წარმოებულ კომპანიას ჩვენც შესაფერისად უნდა გამოვეხმაუროთ.

კომპარტიისაკენ.. ყიჟინა რომელიც გაისმის მთელ დედამიწის $^1/_6$ ნაწილის ყოველ ფაბრიკა-ქარხანაში და ამ ყიჟინას ჩვენც უნდა შეუერთოთ ჩვენი ხმა.

კლდე.

უწმინდესი „მამეგი“.*

უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალი ამ დღეებში შეუდგება „წმინდა მამების“ კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობის გარჩევას.

მშრომელთა სასამართლოს წინაშე წარსდგება კათალიკოსი სრულიად საქართველოისა, ამბროსი თავისი უახლოესი თანაშემწეებით, მღვდლებითა და დეკანოზებით.

მათ ბრალდებათ საეკლესიო განძეულობის გადამალვა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობა.

პირველი შეხედვით თითქოს განცვიფრებას იწვევს ასეთი ბრალდება.

და მართლაც რა უნდა ქონდეს საერთო „სულიერ მიმდევრებს“ ეკლესიის მამა მღვდლებს განძეულობის გადამალვასთან?

განა მათ, ქრისტეს მოძღვრების მიმდევართ, და ერთგულ მსახურთ განძეულობა არ უნდა გაეყოთ შშიერთა და მწყურვალეთათვის?

არ უნდა გაეწოდათ დახმარების ხელი ათასი და ასი ათასი მშიერნი, ულუკმა პურო ხალხისათვის?

ჯერ კიდევ ათას ცხრაას ხუთ წელში გამორეკა მშრომელმა ხალხმა მღვდლები ეკლესიებიდან და უარი სთქვა სარწმუნოებრივ თვალთმაქცობაზე. ჯერ კიდევ ათეულ წლების წინათ მიხვდა ხალხი იმას, რომ მღვდლები, ეგრედ წოდებულ ღვთის მსახურნი, ხალხის უახლოესი და უსაშიროესი მტერი იყო და ამიტომ იყო, რომ აღარ ეკარებოდა მათ ხალხი.

და აი ხალხის უნდობლობა, მისი მტრული განწყობილება სამღვდელოებისადმი თურმე როდი ყოფილა უსაფუძვლო.

ვის არ ახსოვს 1921 წლის შიმშილობა ჩვენში და ჩვენ მეზობელ რესპუბლიკაში, რუსეთში.

ვის არ გაუღია თავისი წვლილი გმირ მოძმეთა დასახმარებლათ.

დედა-მიწის რომელ ნაწილზე არ მოუკლია თავის ლუკმისათვის მშრომელს და არ დახმარებია შიშილისაგან გამხეცებულ ადამიანებს.

იმ ადამიანებს, რომლებმაც ბუნების უსასტიკესი კაპრიზის გამო ლუკმა პურს მოკლებულებმა, ძაღლების, თაგვების და ბოლოს ადამიანთა ჯამაც კი დაიწყეს?

რას შვრება ამ დროს სამღვდელოება? ის გულზე ხელ დაკრეფილი უცქერის ხალხის უბედურებას.

ის ხარობდა, სისინებდა, სარგებლობდა ამ შემთხვევით, რათა თვალი აეხვია მშრომელ ხალხისათვის.

ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელათ ასაღებდა სტიქიურ უბედურებას.

და როდესაც მშრომელი ხალხი მისი ხელისუფლების სახით ადგენს დამშეულთა დახმარებისათვის მოკრეფილ იქნას საეკლესიო ქონება, „წმინდა მამები“ იპარავენ ხალხის ქონებას, საერო განძს მიათრევენ და სადღაც მიწაში მალავენ, მათ რა ენაღვლებათ თუ ათასი და ათი ათასი მშრომელი გამოესალმება წუთი სოფელს.

განა მათ აწუხებდა როდისმე მშრომელი ხალხის გასაჭირი?

განა ისინი თვით არ ასხდენ მშრომელ ხალხს წურბელივით და სწოვდენ მის სისხლს?

—სულ მთლათ ამოწყვეტილა ყველა, რაც მეტი გაუჭირდებათ უკეთესია, ასე მსჯელობდა სამღვდელოება, ვინაიდან აქ ხედავდა ის თავის ხსნას.

რევოლიუციამ წაართვა მათ მრავალ პრივილეგიები. რევოლიუციამ ჩამოაშორა ისინი მშრომელ ხალხს, რევოლიუციამ მოუსპო მათ მუქთა ცხოვრება განცხრომით, ფუფუნებით.

და რა თქმა უნდა, ისინი რევოლიუციის და მშრომელი ხელისუფლების მოსისხლე მტერი შეიქნებოდენ.

თვითეული შეფერხება, თვითეული კრიზისი რევოლიუციისა მათ ქუჩებზე ზეიმს იწვევდა.

მათი საოცნებო საგანი იყო მშრომელთა ბატონობის დამხობა, განადგურება, ვინაიდან გასუქებულ მუცლებზე ქონი თანდათან ელეოდათ და თუ ძველი დრო არა, დანაკლისის შევსებას ვერ შესძლებდენ.

მშრომელ ხალხს მათრახის და „დანოსების“ გარეშე ველარ დაიმორჩილებდენ.

და აკი მუშაობდენ „წმინდა მამები“. ისინი არ დაკმაყოფილდენ მარტო განძეულობის გადამალვით.

მათ მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ მუშაობას მიჰყვეს ხელი.

საქართველოს სამღვდელოების მეთაურმა ამბროსი ხელაიამ, მიმართვა გაუგზავნა „ერის“ სახელით დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს. წმინდა მამის ღაღადისი იყო მიმართული მშრომელთა მოსისხლე მტერებისადმი გვიშველეთ, გაგვანთავისუფლეთო.

მაგრამ არაფერი გაუვიდათ მათ.

მშრომელმა ხალხმა სძლია ყოველგვარი დაბრკოლებანი და დღეს მის ქუჩებზეა ზეიმი.

დღეს მის წინაშე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებიც კი იხრის ქედს.

ვერ გასჭრა კონტრ-რევოლიუციის ხრიკებმა.

დამარცხდა სამღვდელოება მშრომელ ხალხთან ბრძოლაში.

გადამალული განძეულობა აღმოჩენილი იქნა.

იმპერიალისტების დახმარება აღარ მოუვიდათ.

კონტრ-რევოლიუციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

დღეს გამარჯვებული მშრომელი ხალხი ასამართლებს იმათ, ვინც ხელს უშლიდა, ფეხებში ებანდებოდა მას, „წმინდა მამები“ თავისი არა წმინდა საქმეებით უზენაესი სასამართლოს წინაშე წარმსდგარნი შესაფერის ჯილდოს მიიღებენ.

ქ. თოფაძე.

„შახმატი“

(ს ც ე ნ ა)

პირველი. რამ დაგაღონა?.. ყველა არ არის შენი სარჩენი!
მეორე. ეჰხ! ნუ დაიწყებ და თუ ღმერთი გწამს ჩამომეხსენი.
პირველი. ნუ გეშინია... ფიქრს თავს ნუ მიეცემი, ნუ დაღონდებით;
გავა დრო-ჟამი და მაკდონალდსაც მოვაგონდებით.
რა უყოთ, მერე, რომ ჩვენს შესახებ ჯერ არ სძრავს კრინტსა
მეორე. ნუ გაქვს იმედი... ჩვენზე არ გასცვლის ერთ მჟავე კიტრსა,
რა ენაღვლება მას საქართველო—მით უფრო ჩვენა...
სისხლად წამწარდეს, რაც აქ მიიღო პურ-ღვინო, ლხენა.
პირველი. კარგი... გეყოფა, უიმედობას ნუ მიეცემი—
თორემ, ძმობილო სულით და ძალით შენ დაეცემი.
ახალ ფურცლების ყველა მასალას გვთხოვს რედაქცია.
მეორე. ხომ არ გაგიჟდენ... გამჩენმა ღმერთმა ის დააქცია.
დარდიც არა მაქვს... აწ არაფერი არა მწამს მათი.
ყველას სჯობია, რომ ვითამაშოთ აი შახმატი.
პირველი უარს არც მე გეტყვი... თამაში დარდს ჰკლავს, ჩემო სპირდონა.
მარადიულად იყოს კურთხეულ ვინც მოიგონა,
მეორე. ო, ღმერთმა ნუ ჰქნას... ღმერთმა დასწყევლოს ამის მომგონი.
პირველი. რას ამბობ, კაცო... შენ შეიშალე ჭკუიდან მგონი;
გავგიჟდებოდით, რომ არა გვქონდეს ჩვენ ეს შახმატი.
მეორე. ღმერთს გეფიცები: ჭკუა-გონებით გაჯობებს ბატი.
იცი შახმატი ვინ მოიგონა?—კომუნისტებმა,
მაშინ, როდესაც დევნა დაუწყეს მენშევიკებმა;
მაშინ ისინიც, როგორც ჩვენ ახლა, იყვნენ ამ დღეში
და ეს შახმატი გამოიგონეს ერთ ბნელ ღამეში.
შენ კი არ იცი-და კომუნისტებს ადიდებ, ლოცავ;
იმ კომუნისტებს, რომლების შიშით კუსავით ცოცავ.
დასწყევლე სამჯერ, თორემ ლოცვები კარგათ ახდება
და კომუნიზმი—ეს ჩვენი ჭირი—არ დამარცხდება.
პირველი. ო, ეს შახმატი ვინც მოიგონა, იყოს წყეული.
მეორე. თითონ შახმატი იყოს დღეგრძელი და კურთხეული.
საქმე არა გვაქვს... ძილი, თამაში... თამაში, ძილი...
ტყვესავით ყოფნა... გარეთ ვერ გავალთ; გზა არ გვაქვს ხსნილი.
პირველი. კარტით-შახმატით გვიადვილდება ჩვენ ღამის თევა...
...აჰა... ახლა შენ... ცხენი... კაროლი... და კარალევა...
მეორე. ოი, კაროლი... ჩვენი ცხოვრება მაშინ ჩამწარდა
როცა ტახტიდან ნიკოლოზ მეფე ძირს ჩამოვარდა
პირველი. ეს ასე იყოს...შემცდა—დაიცა... ცხენი... კოროლი...
მეორე. ოი, კაროლი, მას ველოდები, როგორც ქმარს ცოლი.
პირველი. შენ გიწევს ახლა და გააქანე ეს კარალევა...
მეორე. ო, კარალევა, მის ხსენებაზე ცრემლი მერევა.
პირველი. აჰა, მე ცხენი... ხა-ხა-ხა-ხა-ხა.., როგორ გაქვს საქმე?
ვერსად წამიხვალ როცა დავჯდები, ძმობილო, აქ მე.
მეორე. ჩეკა დამეძებს და ვერ შემიპყრო სამი წელია.
ჩემი დაჭერა, კარგად იცოდე, მეტად ძნელია.
პირველი, მაშ კარგი... ვნახოთ... ეს ჯერ აქ იყოს... აჰა კაროლი.
მეორე. ოი, კაროლი, ჩვენი იმედი... ჩვენი პაროლი.
ხა-ხა-ხა ხა-ხა—ეხლა მოვიგე მე ეს შახმატი...
აწ ვერ გიშველის ვერც მაცხოვარი და ვერც მახმადი.

გათავდა... რა ჰქნან... ასწავლეთ სხვა რამ, ვისაც გაქვთ მადლი...
სხვა რაღა დარჩა—დასხდენ და ჩეჩონ საწინდე მატყლი.

მენგო.

მწარე მოგონება.

სამი წლის წინათ, აი სწორეთ ამ დროს თებერვალში, საშინელი, გულის შემაშფოთებელი ამბავი დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში... ორი ძმა ერთი მეორეს იარაღით დაერია... ბურჟუაზია სიხარულით ხითხითებდა, როდესაც ეს სურათი დაინახა... მახსოვს. მახსოვს საზიზღარი თებერვლის ცამეტი რიცხვი, როდესაც ჩემი ბატალიონით, ვითომ და „ბრძოლის ველზე“ მივდიოდი, თუ რა ზეიმით და ოვაციებით მისტუმრებდა თბილისის ბურჟუაზია, იმათ ამ ოვაციებით უნდოდათ, მშრომელი მასის გულის მოგება. ჩვენც ათასნაირი ჭორებით გაჟღენთილები, გაბრაზებულები მივდიოდით „მტერზე“ შესატევათ. ჩვენც, ჩვენდა უნებლიეთ ამ მტარვალების საქმეს ვაკეთებდით... თუ შუა ქალაქში ოვაციებით და ზეიმით ისტუმრებდა ბატალიონს ბატალიონზე ბურჟუაზია, სულ სხვა სურათს დაინახავდით თბილისის მუშათა უბანში.

საშინელი დუმილი და მწარე ფიქრი... ვის ვებრძვით, ან ვინ მოდის?!. ვის წინააღმდეგ მივდივართ ჩვენ?!. საშინლად პესიმისტურად უყურებდენ ამ ოვაციებს... ადგილობრივ შოვინისტურად განწყობილმა საზოგადოებამ ამ მუშების შეკითხვებსაც დაასწრო და ხალხშიც შოვინისტური ანკესიც გადისროლა: „სომხეთის წითელი მთავრობა „დაშნაკების სახით“ ჭურდულად თავს დაგვესხა და განადგურებას გვიქადის“-ო, საქართველოს მუშები შოვინიზმით აზიარეს და ლოცვა კურთხევით გაგზავნეს სომხების დასარბევად.

მაგრამ სულ სხვანაირი სურათი დატრიალდა, როდესაც მივედით ფრონტზე: იქ დავინახეთ, რომ სომხეთის მშრომელ მასსას დაუმხვია, გაუცამტვერებია თავისი შოვინისტური პარტია და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ბუკ-ნაღარით უძახდა ქართველ მშრომელებს „თქვენც თავი დაახწიეთ ბურჟუაზიის ლაქიობას და ჩვენ კავშირს შემოუერთდით“-ო. და ამ გამოძახილმაც ნაყოფი გამოიღო. ჩვენც ვხედავთ ქართველ ჯარში და სახალხო გვარდიაში ჩქარის ტემპით დაიწყო, ნგრევა და დეზორგანიზაცია, როდესაც საქართველო მუშებმა დაიჭირეს, რომ მათ წინ ისეთივე მუშები იდგნენ, როგორიც თითონ და არა ხალხის მჭამელი მუშები, ამჯობინეს სახლებში დაბრუნებულიყვნენ და თავისი მოძმეებისთვის გაეშვირათ, ისეთივე დაკორტიანებული ხელები...

მასსიურათ მიატოვეს ფრონტი და ძლევამოსილ წითელ არმიასაც თითონვე შემოუძღვენ ქ. თბილისში და პარასკევს 25 თებერვალს სამფეროვანი დროშები შესცვალეს, რევოლიუციონურ წითელ დროშებით და ხელისუფლებაც ჩააბარეს მუშების ინტერესების მტკიცეთ დამცველს, კომუნისტურ პარტიას.

მე კი მძიმეთ დაჭრილი ტყვეთ ჩავვარდი და გვარიც გამოვიცვალე. ჭემში პროვოკაციული ჭორები ისე ღრმათ იყო გამჯდარი, რომ ყოველი ჭორი მჯეროდა. თფილისშიაც სხვის გვარზედაც სამ თვეს ვიწევი საავადმყოფოში. იქაც ადგილობრივი ბურჟუაზია თავს მევლებოდა.

დროთა ვითარებამ კიდევ გამრიყა საქართველოს მშრომელ მასსიდან, პროლეტარიატიდან და კვლავ ბურჟუაზიის მახინაციების ქსელში გახვეული ბუნებამ ტყეში ამომაყოფია თავი...

მაგრამ ჩემი ტყეში ხეტიალის დროს მოხდა უდიდესი ისტორიული აქტი მუშათა ოჯახში და საქართველოს ს.-დ. პარტიაში: ტაქტიკის გადაშინჯვა, გადაფასება და გზის შეცვლა.

და ყოველვე ამან მეც ახალ გზაზე დამაყენა... მე კი არა კერძოთ, ბევრი ის მუშებიც, რომლებიც 3 წლის წინ 1921 წ., ბურჟუაზიისმიერ მოტყუებულები აქტიურათ იარაღებით იბრძოდენ ჩვენივე ამხანაგების წინააღმდეგ.

და თუ სამი წლის წინ, აი, სწორედ, ამ დროს თფილისის ბურჟუაზია და რუსთაველის პროსპექტის მტკეპნელები, ავაციებით გვისტუმრებდა „ბრძოლის ველზე“.

დღეს ამ პარაზიტებს დასანახავათაც ვეზიზღებით და ხშირათ გვერდსაც აგვივლიან და ჩაიბუტბუტებენ „ნეტავი არ შემახვედრა ამ საზიზღარს“-ო, მაგრამ ვერავითარი ბოიკოტი, ვერავითარი ბუტბუტ-ტერორი ვეღარ აგვაცდენს ჩვენ სწორი გზიდან, თქვენთან ნურას უკაცრავად, რომ გამოვეხიზღდით და დავინახეთ საქმის სისწორე და თქვენ ზურგი შემოგაქციეთ.

და ამისთვის, რამდენათ საზიზღარი იყო ჩვენთვის ის წასული და მაცდური თებერვალი, იმდენად საყვარელია ის დღეს და ამისთვის გაუმარჯოს ჩვენს თებერვალს პროლეტარულ შუქის მომფენს.

ილიკო ჯუღელი.

შესდექით, იუდეგო!

ყველა, მუშა თუ გლეხი, ინტელიგენტი და მშრომელი ელემენტი, ყველა დარწმუნდა, რომ იმპერიალისტურ ომის და რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური ფრთა ასცდა რევოლიუციონურ ჭეშმარიტ გზას და ოპორტიუნიზმის ჭაობში გადიჩეხა,

რასაკვირველია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიამაც დღიდან მისი გამოთიშვისა რუსეთის პროლეტარიატისაგან, მიაფუჩეჩა თავისი სულისკვეთება, თავისი წმიდათა-წმიდა სათაყვანებელი პრინციპები და გაეხვია რა თავის ქერქში მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღდა შუღლი და ანტაგონიზმი ერთა შორის: ერთ დროს უაღრესად ინტერნაციონალური და რუსეთის პროლეტარიატის მთლიან ფრონტის პლატფორმაზე მდგომი ქართველი სოციალ-დემოკრატია, ოქტომბრის დიდი რევოლიუციის შემდეგ არქინაციონალისტურ მიმდინარეობად გადაიქცა და ამ მხრივ სომხის დონ-კიხოტ, კაცი-ჭამია დაშნაკელები და თათრების—ბეგ-აღალარების პარტია მუსავატელებსაც კი გადააჭარბა,

ეროვნული შუღლი, როგორც შიგნით, ისე ამიერ-კავკასიის და რუსეთის ერებთან არ შეწყვეტილა მთელი სამი წლის მენშევიკების ჰეგემონიის განმავლობაში.

ქართველ მუშას და გლეხს მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელიდან იარაღი არ დაუგდია. და, მაშასადამე, მოკლებული იყო მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობის საშვალებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ, ეროვნულ კაცი-ჭამიურ შუღლს, ანტაგონიზმს, მუშა ხალხის ინტერესების გათელვას და გაიძვერულ მწარე ხითხით, დაცინვას, ბოლო მოეღო: მხოლოდ ის ელემენტები, როგორც მაგალითად: რევოლიუციით გაბრაზებურჟუაზიაა, მღვდელ-დიაკვნები, ბერ მონაზნები და გაკოტრებული თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ კუნჭულებში განაგრძობენ გველურ სისინს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მათ წინააღმდეგ მიიღებს სერიოზულ ზომებს და ცეცხლით გავარვალებულ შანთით ამოუწვავს შხამიან და გესლიან ენებს... და დღეს წითელი დროშა, მუშის სისხლით შეღებილი, ფრიალებს საქართველოს და უზარ-მაზარ რუსეთის ტერიტორიაზე...

აი, ამ მონაპოვარს უნდა დახმარებოდა და განემტკიცებია ცხოვრებაში თვით მენშევიკურ პარტიას, თუ მას სწამდა თვით მუშა ხალხის განთავისუფლების ფრიად საჭირო და ძვირფასი საქმე, მაგრამ რას ვხედავთ: საქართველოს გასაბჭოების დღიდან ზემოხსენებული პარტია მოსისხლე მტრად გადაიქცა მუშურ-გლეხურ მთავრობისა, მის დასამარცხებლად არ მოერიდა, კავშირი შეკრა ყველა ჯურის რეაქციონურ ძალებთან (ვაი სირცხვილო!) და გვერდშიც ამოუდგა მანწყავა-ჩოლოყაშვილის შავს, ბანდიტ-რაზმებს.

საქართველოს სოც.-დემ. დაჭკარგა თავისი ნამდვილი სახე, ასცდა სწორ გზას, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რის მოწამენიც ვართ ყველა: დაახლოებით ოცი ათას მუშამ, გლეხმა და ახალ-გაზრდობამ დაინახა რა თავის პარტიის ასეთ უსინდისო, უტაქტო მოქმედება და ოპორტიუნიზმში გადაჩეხვა, მიაფურთხა მას და გამოვიდნენ პარტიიდან.

მაშასადამე პარტიას, როგორც იურიდიულად, ისე ზნეობრივად უფლება აღარ აქვს იარსებოს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ მენშ. ფარული ცეკა თურმე განაგრძობს მუშაობას (sic!?.)

არ გეგონოთ, რომ იგი აწარმოებდეს მარქსისტულ თეორიის შესწავლის და ცხოვრებაში გამოყენების ინტენსიურ შრომას, არა!

მათი მუშაობა გამოიხატება მაუზერების ტრიალში, გამოფხიზლებულ ამხანაგების ვერაგულად მკვლელობაში, შანტაჟში და სხვა.

კმარა, იუდებო! შესდექით, ოცი ათას გამოფხიზლებულ მარქსისტ მუშას მოთმინების ფიალას ნუ ააკსებთ, თორემ მწარედ ინანებთ უნდა დარწმუნებული იყვეთ, რომ მაგვარ საზიზღარ საქმიანობით ფონს ვერ გახვალთ...

ივ. დავითიანი.

პრეგა მეტეხის ციხეში.*)

ქვათაძის სიტყვა.

ამხანაგებო! მომხსენებელმა ამხ. ფარნიევმა ნათლათ დაგვიხატა ის, რომ არც ევროპაში და არც ჩვენში სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში მთლიანი-ერთიანი აზრი-შეხედულება და აღარც ორგანიზაციული ერთიანობა-მთლიანობა აღარ არსებობსო. ბევრი თეორეტიკები, როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც ჩამოშორდენ მეორე ინტერნაციონალს, ბევრი მუშები და გლეხები, ძველი მებრძოლი-რევოლიუციონერები ათასობით და ათი ათასობით ორგანიზაციულათ სტოვებენ მეორე ინტერნაციონალის რიგებს და გადადიან მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებშიო.

ყოფილი მენშევიკების და ახალგაზრდა მარქსისტების ყრილობებმა გასულ წელს აგვისტო-ოქტომბერში უარყვეს „დემოკრატიზმით“ სოციალიზმისკენ ტაკტიკა და ახლა ს. დევდარიანმაც თავის ვრცელ წერილებში ამ დასკვნამდის მივიდაო. კომუნისტური ინტერნაციონალი თანახმათ მარქს-ენგელსის ანდერძისა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს და მისი უახლოვეს მოკავშირე ღარიბ გლეხობას მოუწოდებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების-საბჭოთა რესპუბლიკების მთელ მსოფლიოში დასამყარებლათ და სადაც ამ ჟამათ უკვე არსებობენ, მათი განმტკიცება და თანამ-

*) იხ. გაგრძელება „სიმ. ხმა № 13.

შრომლობისაკენო. სოციალ-დემოკრატიული მეორე ინტერნაციონალი, კი პირიქით, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას და კერძო საკუთრების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაზე თავის შეკავებას და ამ რიგათ მუშათა კლასის დაქსაქსვას ხელს უწყობს გაბატონებული კლასების საბედნიეროთაო.

ამხანაგებო! ყველა ამის შემდეგ ჩვენც მოგვიწოდებს ამბ. ფარნიევი, რომ არ ვიყვეთ უბრალო მაყურებლები და თავი დავახწიოთ თავმოყვარეობა-ეინიანობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ კრებაზე მყოფ ამხანაგებში არც ერთი არ გამოერევა, რომელიც წინააღმდეგი იქნება ამბ. ფარნიევის დასკვნა-წინადადებებისა. ჩვენ ამ კრებაზე დამსწრენი საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ნაღები ვართ და იმდენი ცოდნა-შეგნება-გამოცდილება შეგვწევს, რომ შეუმცდარათ გაუკეთოთ სწორი ანალიზი ჩვენი პარტიის ცეკას ორნახევარი წლის მოღვაწეობა-მოქმედებას, ხაზს, რომლის შესახებ ს. დევდარიანმა უკვე გამოსთქვა კიდეც თავისი შეხედულებანი. ჩვენი დასკვნა უნდა იყოს ის, რომ ჩვენმა ცეკამ ვერ აიღო სწორი მარქსისტული ხაზი და მუშების და გლეხების მაგიერ კავშირი დაიჭირა საქართველოს საზოგადოების ნაძირალებთან-რეაქციონურ ელემენტებთან და სხვა და სხვა ბანდიტურ ჯგუფებს უწევდა ხელმძღვანელობა-მეთაურობას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ

ის ხელს უწყობდა შეიარაღებულ მკვლელობას. რას გავს მუშა გიორგაძის და გლეხი ქაიხოსროშვილის ვერაგულათ, მოტყუებით-ქურდულათ დახოცვა? როგორ უნდა გაიბაბნონ ჩვენი ცეკის წევრებმა ამ ძველი მებრძოლი ამხანაგების სისხლში გასვრილი ხელები? რით უნდა გაიმართლონ თავი? ჩვენ დღეიდან ყოველგვარი კავშირი —დამოკიდებულება უნდა— გავწყვიტოთ მასთან (ცეკასთან)—მენშევიკურ პარტიასთან, მეორე ინტერნაციონალთან, გვერდში ამოუდგეთ ყოფილ მენშევიკებს, მჭიდროთ დავრაზმდეთ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის რიგებში, სრული ჩვენი შეგნებით, გამოცდილებით ვიმუშაოთ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების საბოლოოთ განმტკიცება-გაძლიერებისათვის და აქედან-მეტეხის ციხიდან ყველას გასაგონათ შევსძახოთ, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მისი ხელმძღვანელ-სულის ჩამდგმელ კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს და პროლეტარიატის "გაერთიანებულ ფრონტს კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობათ.

კუპრაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! ძალზე ძნელია დამშვიდებულად ილაპარაკო იმ წინადადებებიდასკვნების შესახებ, რომელიც ამბ. ფარნიევმა გაგვიკეთა თავის მოკლე საინფორმაციო მოხსენებაში, იმ დროს, როდესაც ჭკუა-გონება გრძნობათა ღელვას დაუმორჩილებია და არ გაძლევს საშვალებას ენა იხმარო აზრების გამოსათქმელათ. მე ვერ წარმომიდგენია, რას ერჩოდა ჩვენი ცეკა ამბ. გიორგაძე და ქაიხოსროშვილს, ნუ თუ არ ჰქონდათ უფლება თავიანთი აზრი ჰქონოდათ, არ ყოფილიყვნენ ბრმა იარაღი—მუნჯი მონები ცეკასი და აერჩიათ ის პოლიტიკური გზა, რომელიც

პატარა ფელეტონი

წმიდა მამათა მიმართვა გენუის კონფერენციისადმი*).

სინედრიონი შემოკრბა—იმაზე ჰქონდათ ცილობა
„რა ვქნათ, რა წყალში ჩავარდეთ, რით მოვირჩინოთ ჭრილობა,
აქ უნდა საქმეს მიდგომა და მისი განქექილობა
საბჭოთა წესწყობილება თურმე არ არის ხუმრობა

—

მუშებიც ხომ კი მათ მისდევს, გლეხობაც გადაგვერია,
ღვთის სალოცავათ არ დარჩა არც ერთი მონასტერია,
გფიცავართ უფალს, ჩვენს გამჩენს, ეს ხალხი ნამდვილ შტერია,
ცუდს საქმეს აბა ვინ გვიზამს, თუ არა ღვთისა მტერია.

—

უნდა ვაცნობოთ ეს საქმე გენუის შეკრებილობას,
რომ ჩვენ სამღვდლოთა კრებული იმათ ვუცხადებთ სრულ ნდობას
აქ დარჩენილნი მოველით იმათგან ჩვენ შემწეობას,
ან უნდა ბევრს ხანს უცქიროთ ჩვენი ბედისა წბილობას.

—

აქ ნიკოპოლის შემჭმელმა*) ქაღალდს შეახო ხელია,
(ეს ყველამ იცის ქაღალდი ყველაფრის ამტანელია)
დასწერეს: „გვეუბნებიან, რისი ხართ თქვენ შემქნელია,
„საქართველოში არ იქნას უსაქმო მუქთა მჭმელია“

—

ცხოვრება თლად გაგვიჭირდა, ჩვენები სულ მეტეხშია,
ნათვლა ჯვრის-წერა აღარ არს (სრულდება ყველა ზაგსშია)
ზარებსა რეკით, უბრალოთ, მოატყდა ენა ღერძშია
ამა დღის მომსწრე, გფიცავართ, არა ვართ ჩვენ-ჩვენ დღეშია.

—

მუშებს, შავ მუშებს, მეკურტნებს ბლომათ აქვთ ყველაფერია
(დროშაც აქვთ თავისებური არს იგი წითელ ფერია)
გაიძახიან: „ამ ქვეყნათ ჩვენა ვართ—ჩვენ მშრომელია
და ვინც არ შრომობს მუქთათ არს დიახ მისი ვართ მტერია.
ოქრო ტ ვერცხლი, რაც დაგვრჩა ჩავფალით ჩვენ მიწაშია,
(სულ ცოტა დაგვრჩა, რადგანაც ნაწილი „გრანიცაშია“)
ვფიქრობდით, ამით ვიცხოვრებთ—ვიქნებით განცხრომაშია
მაგრამ სულ ხალხმა წაიღო სძევს სახელმწიფო ბანკშია.

—

სად შეგვიძლია, რომ ეხლა ჩვენ მივეჩვიოთ შრომასა,
თუ არ იშრომე—იცოდე დაიმსახურებ წყრომასა;
თუ რამეს გვიზამთ, თქვენ იცით, მოიღებთ მოწყალებასა,
თორემ სჯობს ჩვენი სიკვდილი, ვიდრე სულ შიშით კრთომასა.

ნიბლია.

*) ნიკოპოლი—ძველად სოხუმი. ნიკოპოლის მჭმელი—ნიკო თავდგირიძე სოხუმის ყოფილი ქალაქის თავი.

მათ აკავშირებდა პროლეტარიატის ერთიანსოციალისტურ ოჯახს და კავშირი გაეწყვიტათ ცეკასთან? ვთქვათ, ცდებოდენ, ვთქვათ, რომ ყოფილი მენშევიკების კონფერენციები და ყრილობაც შეცდენ, ვთქვათ, რომ სეით დევდარიანიც სცდება, ვთქვათ, რომ ევროპის ის მუშები და ინტელიგენციის ნაწილი, რომლებიც ათი და ასი ათასობით ზურგს უქცევენ მეორე ინტერნაციონალს და გადადიან მესამე ინტერნაციონალის რიგებში, ცდებიან, და ვიკითხოთ: მაშ ისინია მართლები, რომლებმაც ხელი გაისვარეს გიორგაძის და ქაიხოსროშვილის სისხლში? მაშ ისინია მართლები, რომლებიც ქვეყანას ატყუებენ ათასგვარ ტყვილების და ჭორების გავრცელებით და ბანდიტებთან რომ იჭერენ კავშირს? მაშ ისინია მართლები, რომლებმაც ხელი აიღეს ყოველგვარ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე და გულ-ხელ დაკრეფილი დაეხეტებიან ქალაქებში, სოფლებში და ააგარაკოებზე ბაფხულობით?

არა, ამხანაგებო არ შეცდენ პირველნი, ისინი გაყვენ მარქსისა და ენგელსის ანდერძს და უკანასკნელები კი მიუტოვებელ ღალატს სჩადიან მშრომელი ხალხის ინტერესების, მისწრაფებების წინაშე და ჩვენ დღეიდან უნდა დავჭრათ-დავწყვიტოთ ის ძაფები, რომლებითაც ვიყავით მიკერებული-მიბმული ათეული წლების განმავლობაში მენშევიზმზე, და ერთხელ და სამუდამოთ შეუერთდეთ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც დაიჭირა ყველას დასანახავათ უდავო გამოცდა და ამდენი ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ გადახარა პროლეტარიატის რევოლიუციონური დროშა. ამ გზას დაადგენ ჩვენი ამხანაგები გასულ წელს აგვისტოში, ამ გზას დაადგა ჩვენი პარტიის მეორე ბელადი სეით დევდარიანი, ამ გზას ადგია ევროპის პროლეტარიატის გამოფხიზლებული ნაწილი და ჩვენ არ შეგვიძლია ამ დროს გულზე ხელები დაეკრიფოთ და ვიდგეთ გვერდზე, ჩვენც მათთან უნდა ვიყვეთ ცოცხლები და მკვდრებიც. ამაზე მეტის თქმის

ამხანაგებო, მე ვერ ვახერხებ, ვინაიდან ჩვენი ცეკას მოქმედება- მოღვაწეობის გამოაშკარავების და გაცნობის შემდეგ მე ძალზე აღელვებული ვარ და დამშვიდებულად ლაპარაკი არ შემიძლიან. მხოლოდ ვიტყვი, რომ ვიკმაროთ ის, რაც იმდენ ხანს ჩვენი ჯიუტობა-თავმოყვარეობის გამო ხელს უშლიდით მუშათა და გლეხთა მმართველობას განმტკიცება-წარმატება-აღმშენებლობას და ამიერიდან ურყევათ ამოუდგეთ გვერდში კომუნისტურ პარტიას და მათთან ერთად ვაკეთოთ მშრომელი ხალხის ტკივილების-ჭრილობების გამამთელებელ-გამნელებელი საქმე. აქეთკენ მოგვიწოდებს ამხ. ფარნიევი და მას რომ არ ეთქვა ეს ჩვენთვის, უმისოდაც მოვალენი ვართ ასე მოვიქცეთ.

მუჯირის სიტყვა

ამხანაგებო! ამხ. ფარნიევმა სხვათა შორის გაგვაფრთხილა, ვიცი რომ ცეკა ახლა თქვენზედაც დაბეჭდავს ფურცლებსდა განაცხადებს მშიშრები არიან, პარტია მათ არ იცნობსო. მეც არ მეპარება ეჭვი, რომ ეს ასე მოხდება და სწორედ ამისთვის მინდა განვაცხადო, რომ არც ერთი ამ კრებაზე მყოფთაგანი არ არის ისეთი, ვისაც არ გვესმოდეს თუ რას ნიშნავს ტაქტიკა და უარის ყოფა იმ ტაქტიკისა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით ამდენ ხანს, რომლის უვარგისობა-დაძველება-მიზან შეუწონლობაშიაც გასულ წელს დარწმუნდა ჩვენი პარტიის წევრების 30% და უარჰყო იგი და ახლა ჩვენც დავრწმუნდით და დღეიდან უნდა გადავსცეთ ისტორიის არხივს ძველი ტაქტიკა, რომელიც არ გამოდგა სწორი-ურყევი პროლეტარიატის მახლობელ და საბოლოვო მიზნების მისახწევათ და უფრო გასაგონი რომ დარჩეს ჩემი სიტყვა, ჩვენი ტაქტიკა ოდნავათაც არ ჰყოფდა და არ ჰყოფს უზრუნველათ რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა-ცხოვრებაში გატარება განმტკიცება. არც ჩვენ უნდა გვაშინებდეს ის, თუ რას იტყვიან ცეკას წევრები, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც გასულ წელს აგვისტოში ჩვენმა პარტიის წევრების დიდმა უმრავლესობამ გაუქმებულათ გამოაცხადა როგორც პარტია, ისე თვით ცეკაც და თუ მას შემდეგ ჩვენ მაინც ვჯიუტობდით და ვიბრძოდით ძველი ტაქტიკის სიწმინდის და არსებობის დასაცავათ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ განვაცხადოთ, ჩვენ არც გვეშინოდა, არც ამიერიდან შეგვეშინდება და რომ მშიშრები ვყოფილიყავით, არც აქ ვისხდებოდით, არამედ ან საზღვარგარეთ ვიქნებოდით, ან რუსთველის პროსპექტზე ვიქნებოდით სასეირნოთ, და რომლებიც დიდი და გამბედავი მოღვაწენი იყვნენ იმ დროს, როდესაც თბილ ადგილებს არიგებდა ჩვენი პარტია, ნ ახლა კი, როცა ეს შესაძლებლობა აღარ არის, ხელი აიღეს პოლიტიკურ მოღვაწეობა-საქმიანობაზე და რაღაცას ელიან ეგება როგორმე გვეღირსოს რამე საიდანმეო. ასე არ მოიქცა გასულ წელს აგვისტოს და ოქტომბრის ყრილობები ჩვენი ამხანაგებისა და ჩვენც ამ ყრილობების მიერ აღებულ ხაზზე უნდა დავადგეთ დღეიდან. დეე გვლანძღოს ცეკამ, ეს ჩვენთვის უმნიშვნელო იქნება, ვინაიდგან ჩვენ გვიხმობს პროლეტარიატისათვის რიგებში დასარაზმავათ უსამართლობა კაპიტალისტური წესწყობილების მთელ მსოფლიოში დასამხობათ და მშრომელთა ბატონობის დასამყარებლათ პროლეტარიატის დიქტატურის გზით და კომუნისტური მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით ბრძოლისაკენ და ამ ბრძოლაში ჩვენ ამიერიდან აღარ შეგვიძლიან არ ვიყვეთ პროლეტარიატის რიგებში. მაშ ასე, ჩვენ გვალაპარაკებს-გვამოქმედებს არა შიში, არა ზეგავლენა ვისიმე მხრიდან, არამედ ჩვენი შეგნება, პროლეტარიატის საბოლოვო მიზნები ჭკუა გონება, დაკვირვება და ყველა აქედან გამომდინარე მოვალეობანი. და ჩვენ მოწოდებული ვართ ვიყვეთ პროლეტარიატის რიგებში ფაშიზმი-კაპიტალისტურ წესწყობილების საბოლოვოთ დამხობ-ბრძოლაში. ამ გზას დაადგა ახლა ჩვენი პარტიის მეორე ბელადი სეით დევდარიანიც და ის ნოე ჟორდანიასაც აქეთკენ უხმობს. ამხანაგებო! ჩვენ თუ აქამდის ვიბუტებოდით-ვინაზებოდით გასათხოვარი ქალივით, ეს მოგვდიოდა გადამეტებული ეგოისტური თავმოყვარეობა-ჟინიანობით, როგორც ამხ. ფარნიევმა გვითხრა, და ახლა კი არამ თუ დროა, დაგვიანებულიცაა, უკუვაგდოთ თავმოყვარეობა-ჟინიანობა და ჩავდგეთ მებრძოლ-რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში და ყველას გასაგონათ შევძახოთ; გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ჩვენ გამოფხიზლება-გამბედაობას და კვლავ მუშათა კლასის წმინდა ოჯახში წმინდა გულით-წმინდა განზრახვებით დაბრუნებას.

ბერიტაშვილის, მიქელაძის, ჩაჩუას, ჭანტურიშვილის, ეფრემიძის და ფარნიევის პასუხი სიტყვა შემდეგ ნომრებში იქნებიან მოთავსებული.

ტრამვაიელი.

რა სასამართლოზეა ლაპარაკი?

ს. დევდარიანი თავის უკანასკნელ წერილებში რამდენიმე ადგილას ამბობს საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, რომელმაც უნდა გაარჩიოს საქ. მენშევიკური პარტიის ცეკას მასალები და მისი ხაზი.

მე ვფიქრობ, რომ ეს სრულიად ზედმეტია...

სასამართლო მიუდგომელი, სასტიკი უკვე იყო.

თვით ჩვენ, მენშევიკური პარტიის წევრებმა, სალიკვიდაციო ყრილობაზე აღვნიშნეთ, რომ ცეკას ხაზი არ იყო სწორი, მენშევიკური პარტიის ტაქტიკა არ იყო კლასიური, საზარალო იყო მუშათა კლასისთვის.

12 ათასმა პარტიის წევრმა განაცხადა:

— საქართველოს მენშევიზმი გადასცდა საერთაშორისო სოციალიზმის გზას, გადაცდა მარქსისტული გზიდან.

და ეს დაასაბუთა აუარებელი მასალებით.

ამაზე მეტს ვერავითარი სასამართლო ვერაფერს ვერ იტყვის.

მე არ ვიცი რა ფორმებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის სასამართლო, რომლის შესახებ ს. დევდარიანი სწერს.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს, ამ სასამართლომ უნდა შეაგროვოს ყველა მასალები მენშევიკური პარტიის მოღვაწეობიდან და გამოიტანოს თავისი განაჩენი.

მაგრამ ვისთვისაა ეს საჭირო?

ასეთი სასამართლო, შეიძლება, საჭირო იყოს ისეთ შემთხვევაში, როცა პარტიას გარეშე ორგანიზაცია, რომელიმე სხვა პარტია გდებს რაიმეში ბრალს, ხოლო შენ იმართლებ თავს.

აქ კი მოხდა სულ სხვა. ჩვენ თვითონ გავასამართლეთ ჩვენი პარტია. თვით პარტიამ გაასამართლა თავისი თავი.

ჩვენს დეკლარაციებში უარვყავით ძველი გზა, რომელიც მიუღებელი იყო პროლეტარიატისთვის.

ამაზე უკეთეს სასამართლოს ვერავინ ვერ შეადგენს.

ამაზე უკეთეს განაჩენს ვერც ერთი სასამართლო ვერ გამოიტანს.

ამიტომ ლაპარაკი საერთაშორისო სასამართლოზე მე მიმაჩნია სრულიად ზედმეტად.

ვფიქრობ, ს. დევდარიანი სცდება, როცა მასალებს აგროვებს საერთაშორისო სასამართლოსათვის.

რაც შეეხება მეორე ინტერნაციონალს, ის ისეთი ელემენტებისგან შესდგება, რომ მისთვის საქართველოს მენშევიზმის ანტიპროლეტარული ხაზი სრულიად მისაღებია, ვინაიდან თვით აწარმოებს ანტიპროლეტარულ პოლიტიკას და ყურმოჭრილი მონაა საერთაშორისო კაპიტალიზმის.

მესამე ინტერნაციონალისათვის და მთელი მუშათა კლასისათვის კი აშკარაა, ათასჯერ დამტკიცებულია საქართველოს და საერთოდ მენშევიზმის ღალატი მუშათა კლასისადმი.

ვფიქრობ, სეითი ღრმად ჩაუფიქრდება ამას და დაგვეთანხმება, რომ იმ ხალხისთვის, რომელიც დიდი ხანია მოშორდა მუშათა კლასის და საერთაშორისო სოციალიზმის გზას, ისე ზედმეტია ამ საბუთების გაცნობა, როგორც მგლის თავზე სახარების კითხვა.

ნაცნობი.

საქმიანობის ნაყოფი

ვინც მუშათა კლასს ეკუთვნოდა საქართველოში, მან თავისი უკანასკნელი სიტყვა სთქვა 25—31 აგვისტოს ა. წ. სრულიად საქართველოს მენშევიკთა ყრილობაზე. მას მიბაძა მემარცხენე ფედერალისტებმაც — რომლებმაც გაუქმებულად გამოაცხადეს თავისი პარტია. დარჩა ორიოდე პიროვნება, რომელნიც წინსვლას თავს ანებებენ, ბურჟუაზიულ სამყაროს (დემოკრატიზმს) ვერ გაშორებიან და წართმეულ ძალაუფლების დაბრუნებას ფიქრობენ.

ამ გარდამავალ მომენტში, ვინც მუშათა კლასის საკეთილდღეოთ იბრძვის და სურს იხსნას ის ბურჟუაზიის კლანჭებიდან, უნდა დაირაზმოს მე-III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ვინც მის გარეთ არის,—მას ებრძვის, არ არის საინტერესო ჩვენთვის ის თუ რომელი მხრიდან იბრძვის—აშკარაა რომ მოწინააღმდეგე ბანაკშია.

დღეს შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლამ მიაღწია უკიდურესობამდის და აი ამ ბრძოლის დროს არ არის გასაკვირი, რომ

იზრდებოდეს ის პარტია, რომელიც ებრძვის კაპიტალს, ეს არის კომუნისტური პარტია.

მენშევიკებმა კი მეორე ინტერნაციონალის სახით თუ ვერ პოვეს გამოსავალი ფართე კოალიციაში ეხლა იმედს ამყარებენ ვიწრო კოალიციაზე. ბურჟუაზიასთან კოალიციას გასავალი ჰქონდა მაშინ, როდესაც კლასთა ბრძოლა კიდევ არ იყო ასე ჩამოყალიბებული, მაგრამ დღეს, ამ გარდამავალ ეპოქაში, როდესაც დაპირისპირებულია ბურჟუაზიის და მშრომელი მასის ინტერესები ერთი მეორის წინააღმდეგ, შეუძლებელია საშვალო გზა, საშვალო ხაზი, რომელშიაც იმყოფებიან ყრილობის გარედ დარჩენილი ორიოდე პირი და რომლებთაც სურთ გამონახონ საშვალო პოზიცია, რითაც ცდილობენ შეარიგონ, შეათანხმონ მოწინააღმდეგენი. მაგრამ ამაოდ—რევოლიუციამ საშვალო ხაზი არ დატოვა—კაკობრიობა გაყო ორ ბანაკად და მიუჩინა თავისი პოზიცია, ამ დროს ყველასი ვალია მისი ფიზიანმია გამოარკვიოს თუ რომელ ბანაკს ეკუთვნის ის. მე მქონდა საშუალება მესაუბრა ისეთ პირებთან, რომლებმაც ვერც ერთი ლოზუნგი ვერ გადმოისროლა ისეთი, რომ დღევანდელ პირობებს შეეფარდებოდეს — უკანასკნელად ღვდლების და ბერების საქმეშიც კი ჩაერია. და აი ასეთი პირები და მათ მიერ შექმნილი პარტია, რასაკვირველია, ნიადაგს ვერ პოულობს მასაში და ეს რჩება გარიყული—იზრდება და ფარდოვდება ის პარტია, რომელიც ეყრდნობა ფართე საზოგადოებრივ მშრომელ მასას, რომელმაც თავის საქმიანობით დაუმტკიცა მოწინაღმდეგე პარტიებს მუშათა კლასის მესაჭეობა—რისი ნაყოფიც არის ამ ორ პარტიის გზაქმება.

მისი ნაყოფია კიდევ ის, რომ თუმცა პირველი, საბჭოების არჩევნებში კომუნისტურ პარტია წინააღმდეგობას უწევდა მენშევიკური პარტიას და მისი კოალიცია, დღეს ამ უკანასკნელ არჩევნებში ეს კომპანია არ იწვევს არავითარ წინააღმდეგობას, არამედ ეს ხალხი, რომლებიც დღემდი გამდგარი იყვნენ განზე—ეხლა ჩაებმენ საქმეში. ისინი შეეიდნენ საბჭოებში არა მის წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ საქმის გასაკეთებლად საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს მშრომელ მასას.

ვ. ჯიბლაძე.

მუშათა წერილები

ჩვენ უთუოდ ყველანი გვიცნობენ

ამ რამოდენიმე დღის წინად რადიომ მოგვიტანა ცნობა, რომ ინგლისმა და იტალიამ გვიცნო იურიდიულად. რა იყო ამის მიზეზი, რატომ გვიცნო ბურჟუაზიულმა მთავრობებმაზ იყო დრო, როცა გაცხარებულად გვებრძოდა ჩვენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავდა მთელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენ დასამხობად. მოვიგონოთ დენიკინ-კოლჩაკ ვრანგელის და ყველა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები მთელ რუსეთში. ყველა ეს ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფულით ხდებოდა. ბლოკადა, რომელიც დიდი ხანია, რაც სულს გვიხუთავს, იყო ხერხი ჩვენს დასამხობად. ყველა ამ საშუალებით უნდოდათ დაემარცხებინათ მუშათა მთავრობა, მაგრამ დაინახა, რომ ამ საშუალებით პირიქით, მაგრდებიან, იმდენათაც არ უჭირს რუსეთს რამდენათ თითონ იმ სახელმწიფოებს ურუსეთოთ. მათ ურუსეთოთ გაძლება არ შეუძლიათ დიდის ხნით ანგარიშს უწევდნენ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დედა-მიწის $^1/_6$ ნაწილი უჭირავს და მასთან შებმა არც ისე ადვილი საქმეა. ამასაც კარგათ გრძნობდნენ, რომ მათივე ქვეყნებში მუშები ირაზმებიან მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და არც ისინი მისცემენ საშუალებას ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებისა. ანგარიში გაუწია და გვიცნო მაკდონალდმა და მერე მუსოლინმა. თქვენ არ იფიქროთ, ვითომ მაკდონალდმა იმიტომ გვიცნო, რომ ის მუშათა პარტიის წარმომადგენელია, არა, ჩვენ მან მიტომ გვიცნო, რომ ინგლისისათვის საჭირო იყო ეს ცნობა.

ის ანგარიშს უწევს შინაურ ეკონომიურ მდგომარეობას: ნედლი მასალა არ აქვს, უმუშევრობა დიდია, ეკონომიური კრიზისია საშინელი, ჩვენ ნედლი მასალა დასამუშავებელი ბევრი გვაქვს, აი ამან აიძულა რომ ჩვენ ვეცვნეთ. ასე მოიქცეოდა სხვა რომელიმე ლიბერალიც. აიღეთ მუსოლინი, იტალიის მუშების სისხლის მსმელი, ის ხომ ჩვენთვის თავის დღეში კარგს არ მონდომებს, მაგრამ იმანაც გვიცნო, ისინი ეძებენ თავის გამოსარჩენს. ამ რამდენიმე დღის წინათ დეპეშაში ვკითხულობ, რომ იგლისმა დაგვასწროვო, რატომ პუანკარემ არ გამოიჩინა კარგი დიპლომატობა, რომ ჩვენ დაგვესწრო ინგლისელებისთვის. ჩვენ კი დავრჩით, ასეთია ბურჟუაზიის მადა. ასე ამ გვარად-ისინი ცდილობენ ერთი მეორეს გაუსწრონ და თანდათან გვიცნონ სულ ყველამ. ჩვენთვის კი ეს ნაბიჯები ძალიან კარგია. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის ასაღორძინებლად თუ ინგლისმა გრძელ ვადიანი სესხი მოგვცა, მაშინ ეკონომიურად უფრო მოვღონიერდებით და ერთი ასათ გამოვასწორებთ ჩვენს მდგომარეობას, ავაყვავებთ ჩვენს მრეწველობას. ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ევროპამ გვიცნობა და ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულათ არ არის განწყობილი, ის ყოველთვის მომენტისთვის მზად იქნება, მაგრამ ჩვენ მუდამ უნდა მზად ვიყოთ და უფრო და უფრო ვამზადოთ ჩვენი რაზმები. ჩვენს სადარაჯოზე ფხიზლად უნდა ვიდგეთ და არ მივცეთ საშუალება ჩვენს წინააღმდეგ ხელის გახძრევისა.

მუშა ნაბია.

მუშათა და გლეხთა კავშირი მაგრდება.

თბილისის დეპოს მუშებს აქვთ აღებული საშეფოთ ქარელის თემი, რომელთანაც არის მჭიდრო კავშირი გაბმული, მბრუნველობა გამოიხატება ორგანიზაციული კლასიური ცოდნის და ეკონომიურ დახმარებაში, რამდენათაც შესძლებს ამას დეპოს მუშათა კლასი. 3 თებერვალს ქარელის თემის შეფის—დეპოს კომისია რკინის გზელების კოოპერატივის სხვადასხვა სურსათით და ფართლეულობით დატვირთული ორი ვაგონით გაემგზავრა სოფელ ქარელში. კვირას დილა ადრიანად სხვადასხვა სოფლებიდან გროვდებიან გლეხები ურმებით, რომლებზედაც აქვთ წამოღებული ქალაქის მუშებისათვის ყოველ გვარი საჭირო სურსათ-სანოვაგე მუშათა კოოპერატივთან გადასაცვლელად ფართალზე, მარილზე და სხ. გაიმართა ვაჭრობა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი მოვლენა: ერთ მხარეზე არის გამართული ადგილობრივი სპეკულიანტების ბანაკი, მეორეზე კი რკინის გზის პირათ გამართული მუშა რკინის გზელთა კოოპერატივი. მთელი გლეხ-კაცობა მიილტვის ხალისიანათ კოოპერატივისაკენ: გაიძახიან: „ქალაქის დეპოს მუშებთან წავიდეთ, იმათი კოოპერატივში უფრო იაფია, ვინემ ჩვენს სპეკულიანტებთანო.“ მაგალითად ერთ ფუთ მარილში სპეკულიანტები ართმევდენ 4 ფუთ სიმინდს, კოოპერატივი კი—ერთ ფუთ მარილში ორ ფუთ სიმინდს, მანუფაქტურას და სხვა საქონელს კოოპერატივი სცვლიდა და ყიდდა 40 პროც. უფრო იაფად, ვინემ ადგილობრივი სპეკულიანტები. ამიტომ გლეხების სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

შემდეგშიაც აუცილებლად საჭიროა დიდი ყურადღების მიქცევა მუშებსა და გლეხებს შორის კავშირისათვის. 1. აუცილებლად უნდა იქნეს ადგილობრივი ძალების და ქალაქის მიერ ყოველივე ორგანიზაციული საქმე მოწყობილი, რომ შეათვისონ გლეხ-კაცობა ქალაქის მუშებთან, 2. რკინის გზელთა კოოპერატივის გამგეობამ უნდა ეცადოს, რომ იაფად მიაწოდოს აუცილებელ საჭირო საქონელი გლეხებს. 3. კოოპერატივის გამგეობამ უნდა ეცადოს მოაწყოს საჭირო ვაგონები, რომელშიაც მოსამსახურეებს და მუშებს ქონდეთ საშვალება მოსვენების 18 საათის მუშაობის შემდეგ. 4. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იქ მისვლამდე გლეხ-კაცობას ორი დღით ადრე შეატყობინონ, რომ ამით მიეცეთ საშვალება თავის დროზე მოიტანონ სურსათ სანოვაგე და რომ წამოღებული სურსათ-სანოვაგე არ ჩაუვარდეთ ხელში ადგილობრივ სპეკულიანტებს. 5. რომ უფრო ადვილებით ხასიათი მივცეთ ამ დაახლოვებას და კავშირს მუშისა და გლეხისას სასწრაფო განკარგულებაა საჭირო ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის მიერ, რომ განსაკუთრებისთანავე საშეფო ვაგონები იქნეს მიბმული მატარებელზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი შრომა კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებიც მუშაობდენ მთელი დღე და ღამე უსასყიდლოდ, რადგანაც ძალიან კარგათ შეიგნეს და შეითვისეს ამბანაგ დეპოს მუშებთან ერთად უპირველესი ჩვენი ამოცანა გლეხთა და მუშათა კავშირი უნდა იქნეს აღდგენილი საფუძვლიანად.

აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს სხვა თემებზე ყურადღების მიქცევა შეფების მხრივ, რადგანაც ის დიდებული აზრი შეერთებისა

ქალაქის და სოფლის მუშისა წარმოსთქმულია უკვდავი გენიოს ლენინის მიერ, რომელსაც შევფიცეთ ჩვენ მისი უკვდავი სიტყვები საქმეთ ვაქციოთ. ეს ფიცი გავიხსენოთ და შევსძახოთ ყველამ ერთმანეთს: მეტი ყურადღება სოფლებს.

დეპოს მუშა **ლუკაშევიჩი.**

სოციალიზმისაკენ თუ რეაქციისაკენ?

ამ სათაურით მე მინდა ხაზგასმით ითქვას, პირდაპირ გულახდილათ გაზეთის ფურცლებზე ის ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს აღმშენებლობაში. თვითეულ მოქალაქემ და მით უმეტეს საღათ მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი ტ შეხედულებანი სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობაზედ და მიუთითონ იმ ნაკლზე, რომელიც აუცილებლათ მოითხოვს გასწორებას—საქმიანი, საღი კრიტიკა, აი რა უნდა აინტერესებდეს თვითეულ სოციალისტურათ მოაზროვნე ადამიანს.

საღი კრიტიკა გაამაგრებს მუშათა კლასის ოჯახს.—ხშირად ხდება ასე. ამა თუ იმ ჯგუფის, პარტიის ხელმძღვანელი, რაკი ერთხელ მიიღებს უფლებას ხალხისაგან, ცდილობს თავისი თავი დაუპირდაპიროს ხალხს და ამრჩევლები ავიწყდება. ასეთი ქცევა ხელმძღვანელებისა (ამას კი ადგილი ფართოდ ქონდა დემოკრატიული წყობილების დროს) თიშავს მუშათა კლასის მთლიან ოჯახს და მასში არევ-დარევა შეაქვს.

წინეთ, რეაქციის დროს ჩვენი ხელმძღვანელები გვეუბნებოდენ, რომ თუ ჩვენ ძალა-უფლებამ გაგვიტაცოს და მუშებს დავშორდეთ, თქვენ მუშებმა, მაშინათვე აღიმაღლეთ ხმა და წესრიგისაკენ მოგვიწოდეთო, ასე ლაპარაკობდნენ რეაქციის დროს, მაგრამ ახლა, როდესაც მუშათა კლასმა წესრიგისაკენ მოუწოდა თავის ძველ ხელმძღვანელებს, ისინი გადაუდგნენ მუშათა კლასს და თავიანთი საქმის კეთება არჩიეს.

ეხლა ფაკტის წინაშე ვართ. გათიშვა მოხდა მუშათა და მათი ხელმძღვანელთა შორის.

მუშები წავიდნენ რევოლიუციისაკენ, ხელმძღვანელები რეაქციისაკენ.

ყველას, ვისაც აინტერესებს მუშათა კლასის საქმე, სოციალიზმი, იტყვის წინ, რევოლიუციისკენ!

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ შუა გზა არ არსებობს, ეს საუცხოოდ განმარტა ს. დევდარიანმა თავის უკანასკნელ წერილებში. ან ბურჟუაზიასთან, ან ჩვენთან.

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. ეს უნდა ახსოვდეს ყველას.

მუშა ს. ლ—ვიჩი.

მძლავრი ორთქლმავლები.

იმპერიალისტური ომების და რევოლიუციის დროს სხვა დარგებთან ერთად ყველაზე უფრო ტრანსპორტი დაზიანდა და მის გაჯანსაღებისთვის საჭირო შეიქნა არაჩვეულებრივი ზომების მიღება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რკინის გზის მთავარ სახელოსნო ყოველივე ზომებს ღებულობს, გააჯანსაღოს დაავადმყოფებული ორთქმავლები და რონოდები, მაგრამ ეს ზომები საკმაო ვერ გამოდგა, ვინაიდან შეკეთდა და კეთდება მხოლოდ ისეთი ორთქმავლები, რომლის შეკეთება შესაძლოა. დანარჩენი ორთქმავლები კი განაგრძობენ დგომას ეგრედ წოდებულ სასაფლაოზე. ამიტომ გზათა კომისარიატის წინაშე დადგა საკითხი ორთქმავალთა „პარკის“ განახლებისა. ამიერ კავკასის რკინის გზებისთვის მან უკვე გადმოგზავნა საბჭოთა რუსეთიდან 45 მძლავრი ორთქლმავალი, მათ შორის 20 გერმანიის და შვეიცის ქარხნებში შეკვეთილი. ისინი უკვე მუშაობენ დეპო ბალაჯარაში და ამშვენებენ ამიერ კავკასიის რკინის გზებს.

დანარჩენი 25 ორთქლმავალი საბჭოთა რუსეთის ქარხნებში აშენებულნი დარჩნენ თბილისის დეპოში. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანს აღმოაჩნდათ ცოტაოდენი „დეფეკტები“-ნაკლი, რის შესწორების შემდეგ ისინიც სილამაზედ და სიამაყეთ გახდებიან ჩვენი გზებისთვის. უპირატესობა ამ ახალ მძლავრი ორთქლმავლებისა ის არის, რომ მათ გადაეცვთ ორჯერ მეტი ტვირთი და ხარჯავენ იმდენსავე სათბობ მასალას, რამდენსაც ძველი ორთქმავლები. ყაირათიანობა სათბობი მასალისა და სიმძლავრე ახალი ორთქმავლებისა აისხნება იმითი, რომ ისინი მუშაობენ გადახურებული ორთქლით ე. ი. მათზე „კამერების“ საშუალებით ორჯერ ხურდება ორთქლი, რის გამო მას ეძლევა მეტი სიმძლავრე. ამნაირათ ჩვენ მივიღეთ 45 მძლავრი ორთქმავალი და ამხანად კიდევ მოველით დანარჩენებს.

როდესაც მძლავრმა ორთქმავლებმა იწყეს თანდათან ჩვენსკენ დენა, ჩვენ წინაშე დადგა საკითხი: რა საშუალებით შემოგვებრუნებია ეს მძლავრი ორთქმავლები ჩვენ მოკლე და ძალზე შელანძღულ წრეზე „კრუგზე,“ რომელზედაც ძლივს ძლივობით თავსდებოდა ძველი ორთქმავლები. აქაც გამოინახა საშუალება. კახეთის რკინის შტოზე იდგნენ გრძელი წრეები და გადავწყვიტეთ მათი გადაცვლა. ჩვენი წრის შეკეთების შემდეგ იქ გადატანა. ამიტომ ორგანიზაციის და დეპოს ადმინისტრაციის თაოსნობით დაინიშნა კვირეული და მატარებლით გაემგზავრნენ თელავისკენ. უნდა ითქვას, რომ მუშები არაჩვეულებრივი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას, ერთი დღის განმავლობაშა მათ წრე ამოიღეს და დატვირთეს. რონოდაზე მათ მოუხდათ მუშაობა კოკის პირულ წვიმის ქვეშ, დასველებულნი გალუმპულნი მუშაობას თავს არ ანებებდენ. როცა ხედავ ასეთ თავდადებულ მუშაკებს, იმედებით გევსება გული და ფიქრობ რამდენად ურწმუნო უნდა იყოს ადამიანი, რომ არ ირწმუნოს მუშების სიმძლავრე, მათი საქმიანობა. ამნაირად წრე იქნა ჩამოტანილი თელავიდან თბილისის ორთქმავალთა დეპოში და დღეს ის უკვე მზათ არის, მაზე თავისუფლად ბრუნდებიან მძლავრი ორთქმავლები. წრე შემდეგში მობრუნდება ელეკტრონის საშუალებით. ჯერჯერობით კი მას ორი კაცი თავისუფლად აბრუნებს.

ნ. ჩლაიძე

1-ლი სტამბა.

ამა წელს 5 ს თებერვალს პოლიგრაფიულ განყ. 1-ლ სტამბაში შესდგა საზოგადო კრება მუშა მოსამსახურეებისა. კრებას დაესწრენ პოლიგრაფ. განყ. წევრნი ამხ. ქ. ხარაზიანი და კაიტაჯიანი.

კრებას თავჯდომარეობდა ამხ. მღებროვი, მდივნობდა ფერაძე.

დღის წესრიგში იდგა საკითხი:

1. ავანსების მიღება.
2. ნორმის შემოღება ასოთ ამწყობებში.

1-ლ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილკომმა ამხ. თეთრაშვილმა, გადმოგვცა თუ რა დადგენილება ჰქონია ბეჭდვითი კავშირს ადგილკომებთან და პოლიგრაფიულ განყოფ. წარმომადგენელთან ერთათ შეთანხმებით.

ასეთი ავანსები ან სულ უნდა მოსპობილ იქნას ან და ჩერვონეცის ანგარიშზე ბონებით უნდა მოგვეცეს, და ისევე გამოქვითდეს კურსის მიხედვით.

ბევრი მსჯელობის შემდეგ მუშების უმრავლესობის ხმით მიღებულ იქნა, ავანსების მიღება სწარმოედეს საქონლის მანეთის ინდექსის გამოცხადების შემდეგ და არა უსათუოთ შაბათობით, როგორც წინეთ იყო მიღებული.

2) ნორმის შესახებ ამხ. ხარაზიანმა გააკეთა მოხსენება, დაწვრილებით გააცნო მუშებს თუ რათ არის საჭირო ნორმის შემოღება არამც თუ ასოთ ამწყობებში შემდეგისათვის სურვილი გამოსთქვა რომ მკაზმავებში და მბეჭდავებშიც, როგორც ეს არის რუსეთში პეტროგრადში (ლენინგრადში) და სხვაგან, რომ ნორმის შემოღებით რა სარგებლობა მოგვეცემა როგორც ხოზ-ორგანს ისევე ჩვენ მუშებს და სხვა მუშებმა იმსჯელეს ბევრი: ასწონ-დასწონეს და შემდეგ ერთ ხმათ წინადადება მიღებულ იქმნა. ესე იგი ნორმა შემდეგნაირია. მე 9 კატ. მუშამ უნდა ააწყოს ერთი დღის ნორმა (8000) ასო კორპუსი მე-8 კატ (7500) და მე-7 (7000).

დამსწრე მუშა ი. ხ-შვილი.

მუშის ხმა!

ჩვენს, მუშების სიხარულს, საზღვარი არ აქვს იმ დიდი აქტის მოხდენით, რაც ჩვენ მოვახდინეთ 30 აგვისტოს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ხაზი სწორი იყო ამას ამტკიცებს დიდი კაცის სეით დევდარიანის ჩვენ მხარეზე გადმოსვლა. სეითი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო ყველა პატიოსანი, რევოლიუციონერი. სეითა მით არის დიდი კაცი, რომ მან თავი დაახწია ჟინიანობას, უხეირო თავმოყვარეობას.

მან გადადგა გაბედული ნაბიჯი და მე დარწმუნებული ვარ, რომ მას წაბაძავენ სხვებიც და დადგებიან იმ გზაზე, რომელზედაც 17 ათასი საქართველოს ყოფილი ს. ს. დ. მ. პ. წევრები დადგენ. ეს არის ერთად ერთი სწორი გზა, რომელსაც ჩვენ მივყავართ მუშათა კლასის ნამდვილ გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს ამ გზას.

თოფაძე.

წერილები პროვინციიდან

სამტრედია.

ჯერ კიდევ ვერ გამოერკვნენ.

იანვრის შუა რიცხვებში ქ. სამტრედიაში აღმოჩენილ იქნა მენშევიკური პარტიის კონფერენცია. კონფერენციაზე დატუსაღებულ იქნა 18 კაცი, სამმა კი მოასწრო გაქცევა, დაჭერის შემდეგ, როდესაც ისინი წაიყვანეს პოლიტბიუროში და შეუდგნენ დაკითხვას და მათი სოციალური მდგომარეობის გამორკვევას, დიდი უმრავლესობა ამ კონფერენციისა აღმოჩნდა მიკიტნები, ვაჭრები და უმაღლეს კურს დამთავრებული მაუწავლებლები, რომელთაც საერთო არაფერი არ აქვთ მუშათა კლასთან, ოქმშიც ასე იყო დაწერილი: ყოფილი ქურდი, მიკიტანი, ვაჭარი და სხვა. ეს როდი იყო უბრალო უჯრედის კრება, არამედ იყო კონფერენცია, რომელზედაც წარმომადგენელნი იყნენ სამტრედიის რაიონის ყველა სოფლებიდან, აქ იყო ნაღები პარტიისა. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ნაღები სოციალისტური პარტიისა, სადაც ნაკლებათ ნახავდით დაზგის მუშას და ან ღარიბ გლეხს, ასეთი პარტიის სახელია არა სოციალისტური, არა მედ ანტი მუშური ორგანიზაცია, ყველა მონაწილენი კონფერენციისა იყვნენ სამი ოთხი თვის წინეთ პარტიაში ჩაწერილნი.

ახლა პარტიაში სწერენ ისეთ ხალხს, რომელსაც მუშებთან და გლეხებთან არაფერი საერთო არ აქვთ, რადგანაც ძველი მუშები და გლეხები მათ ხელიდან გამოეცალათ.

ფაშისტური ორგანიზაცია, ეჰვევა რა მენშევიკური პარტიის ქურქში, აკეთებს ქართველი მემამულეების და თავად-აზნაურობის საქმეს.

დროა გონს მოვიდნენ და ჩაუკვირდნენ კარგათ რას შვრებიან, მართლა სოციალიზმის საქმეს აკეთებენ, თუ წელს უმაგრებენ ფაშიზმს და ხელს უწყობენ რესტავრაციას?

დროა დარწმუნდნენ, რომ ხაზი, აღებული ყოფილი მენშევიკური ყრილობისა, სწორია, რომ გზა მეტი არ არის მუშათა განთავისუფლებისა, გარეშე მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ შემოკრებისა.

გ. ტორ—ძე.

ხმა ბოლჯოემიდან

ჩვენს გულს უფრთებთ მსოფლიო პროლეტარიატის გულს და გამოვთქვამთ უღრმეს მწუხარებას ამხანაგ ლენინის უდროოდ დაკარგვის გამო. დღეს მთელი მცხოვრებნი დედამიწის მშრომელი ხალხი არის შავი ტრაურით შემოსილი და თვალცრემლიანი იგონებს და გლოვობს ამხანაგ ლენინის დაკარგვას. ლენინს იმიტომ გლოვობენ, რომ ის იყო ერთად-ერთი წმინდა და შეუპოვარი და დაუღალავი მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ბრძოლით მან დაუმტკიცა მთელ დედამიწის ზურგზე მშრომელ ხალხს თავისი თავდადება და უკანასკნელი თავის ძვირფასი სიცოცხლეც შესწირა მშრომელთა ბედნიერებას. აი ამგვარი ბელადი გამოეცალა ხელიდან პროლეტარიატს და მშრომელ ხალხს. იძახიან მოკვდა ლენინიო, მაგრამ ჩვენ ვიძახით. არ მომკვდარა, ის ცოცხალია, მკვდარი ის არის, ვისაც არაფერი გაუკეთებია. მან ბევრი რამე გააკეთა. მან საძირკველი ჩაუყარა მუშურ სახელმწიფოს, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს, მხოლოდ მან შესძლო და კიდევაც ძირ ფესვიანად აღმოფხვრა ძველი რუსეთის დამყაყებული ჭაობი, მან დასცა შიშის ზარი საერთაშორისო ბურჟუაზიას და იმპერიალიზმს, მან შესძლო შეერთება რუსეთიდან ჩამოშორებული დანარჩენი რესპუბლიკების, როგორიც იყო ადერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო მჭიდრო ძმურ კავშირში.

ამით მოისპო ძმათა სისხლის ღვრა, რომლის მოწმენი ჩვენ თვითონ ვიყავით, სანამ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა.

საერთაშორისო პროლეტარიატმა დაჭარგა თავისი ბელადი, თავისი მასწავლებელი, მაგრამ მას დარჩა ლენინის მიერ გადატყორცნილი ლოზუნგები. ჩვენ, მუშები, არასოდეს არ უღალატებთ ლენინის მიერ დასახულ მიზანს და გზას. ჩვენ მოვალენი ვართ, როგორც მუშები, წმინდათ დავიცვათ ლენინის ანდერძი. ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაზედაც მოგვიწოდებდა ლენინი, არ დავიხევთ უკან.

მუშათა კლასის მოსისხლე მტრებს უხარიათ ლენინის სიკვდილი, მაგრამ ამაოდ. ლენინი მხოლოდ ფიზიკურად მოკვდა, ის სულიერად მუშებთან არის. ლენინიზმი ცოცხალია და ის ძველებურადვე წაგვიყვანს მუშებს სწორი გზით. ეს უნდა იცოდენ მტრებმა.

ჩვენ, მუშები, უფრო მეტის ენერგიით და გატაცებით ვიღლით ლენინის მიერ ნაჩვენები გზით..

არშაკ როსტომაშვილი.

ს. ხაშმი.

ვინ არ იცის, თუ რა გაჭირვებას განიცდიან ის სოფლები, რომლებიც მოკლებული არიან სუფთა სასმელ წყალს. ამის შესახებ ძველ დროში არა ერთხელ და ორჯერ შეგვხვდრია წერილები გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ აბა ვის სცალოდა სოფლისთვის. ცარიზმის დროს, მეფის ჩინოვნიკები ცდილობდენ მხოლოდ, რაც შეიძლება მეტი ღალა გადაეხდევინებინათ გლეხებისათვის, რაც შეეხება სოფლის კეთილ მოწყობას, ამაზე არავინ ფიქრობდა. არც დემოკრატიულმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება და ეს სოფლები განიცდიდენ აუტანელ მდგომარეობას უწყლობის გამო. მაგრამ იმ დროიდან, რა დროიდანაც საქართველოს დაეპატრონა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, ჩვენ ვხედავთ, რომ უმთავრესი ყურადღება ექცევა ამ მხრივ სოფლებს. ავიღოთ, მაგალითად, სოფელი ხაშმი. ეს დიდი სოფელი მოკლებულია სუფთა სასმელ წყალს და სარგებლობს მხოლოდ მდინარე იორით. ზამთარში შეიძლება კიდევ კაცმა ისარგებლოს ამ წყლით, მაგრამ გაზაფხულიდან, რომ აიმღვრევა ეს მდინარე ოთხფეხიც კი ერიდება ამ წყლის სმას, არა თუ ადამიანი.

სოფელ ხაშმიდან ხუთი ვერსის მოშორებით არის საუკეთესო წყაროები, საიდანაც თფილისის აღმასკომი აპირებს ამ წყაროების გამოყვანას ხაშმში. საქმე უკვე დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ მუშაობას და დიდ ხარჯს იწვევს ეს საქმე, ის მაინც დამთავრებული იქნება ამ მოკლე ხანში. მხოლოდ საჭიროა, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხელი შეუწყონ ადგილობრივ აღმასკომს და ჩვენ ვნახავთ, რომ ახლო მომავალში ხაშმელებს ექნებად საუკეთესო სასმელი წყალი.

მგზავრი.

მარნის თემი.

მარნის თემი (სენაკის მაზრა) წარმოადგენს ერთ-ერთ სამრეწველო თემს. აქ არის საუცხოოთ მოწყობილი ხე ტყის სახერხი ქარხანა ევროპიული ტეხნიკის მიხედვით მოწყობილი; ქარხანაში მუშაობს დაახლოებით 180-დე მუშა მოსამსახურეები ახლო მახლო სოფლებიდან. თუმცა ქარხანა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ აქ ვერავითარ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებას, სადაც შეეძლოს მუშებს გონებრივ-ზნეობრივი საზრდო მიიღონ. სამაგიეროთ ბევრია სამეკტნოები, სადაც ძალა უნებურათ უხდებათ მუშებს შესვლა და თავიანთ ნამუშევარის ნახევრის დატოვება, მართალია, არსებობს ერთი კოოპერატიული დუქანი, მაგრამ ძალიან უმწეო მდგომარეობაშია, ჯერ სანოვაგე ძალიან ცოტა აქვთ და რაც აქვთ, უფრო მეტ ფასში იყიდება, ვინემ ბაზარში. მართალია, იყო ერთი პატარა სამკითხველო,, რომელიც დაუარსებია ამავე კუთხის გლეხობას და ქარხნის მუშებს, მაგრამ ის გამოსჭყლიტა კოოპერატივის დუქანმა და, როგორც ვიცით, ერთი შკაფი და ორიოდე წიგნი მიუგდიათ ახლათ გახსნილ ქარხნის სამკითხველოში. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ქარხნის მუშები გლეხებისაგან შესდგება და მათ არ აქვთ ამისი მოთხოვნილებაო, მაგრამ ეს ასე არ არის, ამ ქარხანაში თქვენ ნახავთ ათი თუთხმეტი და ოცის წლის მუშებსაც, მათ შორის ისეთ მუშებსაც, რომლებიც ძალიან კარგად ერკვევიან დღევანდელ პოლიტიკაში და ეკონომიურ საკითხებში, მაგრამ რაღაც ისეთი ჯორზე შემჯდარან, რომელიც სულ უკან იხევს კურიოპატკინივით და ერთი ნაბიჯის წინ გადგმა მუშათა საქმეში მიაჩნიათ დიდ დანაშაულათ, სამაგიეროთ დრო იშოვეს ზოგიერთა მოიტელეგენტო მოხეტიალე ძალებმა, რომლებიც შესდგებიან გაკოტრებულ ვაჭრებისაგან, მექარხნეებისაგან უსაქმოებისაგან და და მღვდლებისაგან, და რომლებიც ეწევიან „სასიქადულო საქმეს“, დაძრწიან სოფლებში, აწერინებენ ხელს ქალებს და მოხუცებულებს, რომ აღადგინონ მღვდლები და ეკლესიები. სამწუხაროთ ამათში არის ისეთი ხალხი, რომლებიც რამოდენიმე წლები გვიქადაგებდნენ ეკლესიების უნიადაგობაზე და გვეუბნებოდენ მუშათა კლასის აღზრდა გათვითცნობიერებაში გვეძებნა ხსნა.

დროა, ეს ვაჟბატონები მოვიდენ გონს, დაუბრუნდენ ქარხნის მუშებს არა მღვდლების სახარებით არამედ ლენინ-მარქსის ეკონომიურ პოლიტიკურ მოძღვრებით.

ურო.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

დღეს ყველა ქვეყნები, მუშური და არა მუშური დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ინგლისის მუშათა მთავრობის ნაბიჯებს. ყველას აინტერესებს, თუ რის გატარებას მოისურვებს და შესძლებს ცხოვრებაში მაკდონალდის მთავრობა. ჩვენ თავიდანვე გამოვსთქვით აზრი ამ მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ.

მაშინ აღვნიშნავდით, რომ მაკდონალდის მთავრობა იცნობს საბჭოთა კავშირსო და ეს ცნობა უკვე ფაქტია. ჩვენ ვამბობდით, რომ მაკდონალდის მთავრობა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ერთგვარ ჩარჩოებში ჩააყენებსო და ეს გამართლდა. თავის დეკლარაციაში, რომელსაც ჩვენ ქვემოდ მოვიყვანთ, მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისი ყველაფერში ვერ დაეთანხმება საფრანგეთსო; ეს ფრაზა მეტყველებს: შენ, მოხუცო პუანკარე, ცოტათი შენი მადა უნდა შეჰკვეცოვო. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია იმის თქმა ეს „ცოტა“, თუ როგორ გადიდდება, მაგრამ ცხადია ერთი: ინგლისის დღევანდელი მესვეურნი სულ თავის ნებაზე ვერ მიუშვებენ საფრანგეთის იმპერიალისტებს. ამის ნიშანი იმ მხრივაც გვაქვს, რომ მაკდონალდი ცდილობს გერმანიის შეყვანას ერთა ლიგაში და საერთოდ ჭმისი უფლებების აღდგენას.

რაც შეეხება ინგლისის მუშათა მთავრობის საშინაო პოლიტიკას, ამ მხრივ, როგორც თავიდანვე აღვნიშნავდით, არაფერი რადიკალური რეფორმა არ არის მოსალოდნელი და, როგორც მკითხველი დაინახავს მაკდონალდის დეკლარაციიდან, ქვა ისევ იქვე ძევს.

* * *

აქვე მოვიყვანთ მაკდონალდის დეკლარაციას იმ სახით, როგორც ეს რადიომ გადმოგვცა.

შეეხო რა საგარეო საქმეებს, მაკდონალდმა განმარტა, რომ მან თავის თავზე აილო ორი მოვალეობა იმისათვის, რომ უფრო მეტი წონა მისცეს იმ პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფომ უნდა აწარმოვოს.

მან განაცხადა, რომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ იცნოს რუსეთი და ეს ნაბიჯი მოწონებულია სამინისტროს ყველა წევრების მიერ. მას სურს მოაგვაროს ყველა სადაო საკითხები ინგლისსა და რუსეთის შორის. პირველ ნაბიჯს წარმოადგენს რუსეთის ცნობა. მას განზრახვა აქვს გაგზავნოს მოსკოვში ყველა მოუწესრიგებელი დაბრკოლებათა სია, როგორც კი ის გამომუშავებული იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. მან წინადადება მისცა დაუყოვნებლივ გადასინჯული ყოფილიყო (ეს გადასინჯვა უკვე სწარმოებს ფაქტიურად) ყველა ის პრეტენზიები, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა ვალების შესახებ და საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა თავის წარმომადგენლების დანიშვნაზე ინგლის-რუსეთის კომისიაში. ეს კომისია განიხილავს ვალების და აგრეთვე სიაში აღნიშნულ სხვა საკითხებს.

მაკდონალდს იმედი აქვს, რომ კვირის ბოლომდი რაკოვსკი უკვე იქნება გზაში მოსკოვისკენ, რომ მიიღოს საბოლოვო ინსტრუქციები საბჭოთა მთავრობისგან მოლაპარაკების დასაწყებად. „ჩქარა“—ამბობს მაკდონალდი, —ჩვენ მოვაგვარებთ ურთიერთობას, რომ დავიწყოთ ახალი ხანა, რომლის დროსაც ჩვენ, იმედი მაქვს, უფრო მეტი მეგობრული ურთიერთობის ფურცელს ჩავსწერთ ორი ქვეყნის ისტორიაში“.

შემდეგ მაკდონალდი შეეხო საფრანგეთთან ურთიერთობის საკითხს. მან განაცხადა, რომ ამ საკითხის გამო დღეს გარკვეულ აზრს ვერ გამოსთქვამს, რის გამო ძლიერ სწუხს. მაგრამ დაუმატა: „მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია განვაცხადო—თუ რამე სრულიად მოულოდნელი არ მოხდა, და მე არ ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია,—მე იმედი მაქვს, რამდენიმე დღის განმავლობაში მიღწეული იქნება შეთანხმება პალატინატის შესახებ. მე ვსარგებლობ პირველი შემთხვევით, რომ ღრმა მადლობა გადაუხადო პუანკარეს გულწრფელი თანამშრომლობისათვის ამ წინადადების საპასუხოთ, რომელიც ამ საკითხის შესახებ მე მას გაუგზავნე. ჩემს პირველ ამოცანას შეადგენდა უფრო უკეთესი ატმოსფერა შემექნა ინგლისის და საფრანგეთის ურთიერთობაში ჩვენი დიპლომატია უნდა იყოს სავსებით ობიექტიური, აბსოლიუტურად გულწრფელი, ის უნდა იყოს ყველა ამბების კურსში და სწორეთ ასეთივე პასუხს უნდა მოელოდეს მეორე მხრიდანაც. „ინგლისი,—განაგრძო პრემიერმა,—ყოველთვის ვერ დაეთანხმება იმას, რასაც გააკეთებს საფრანგეთი. ინგლისი არ მოელის, რომ საფრანგეთი ყველაფერში ინგლისის სურვილების თანახმად მოიქცევა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ არ არის ისეთი საკითხი, რომლის მოგვარება შეუძლებელი იქნება, თუ ამის სურვილი იქნება ორივე მხრით.

მაკდონალდი ფიქრობს, რომ თუ შეთანხმების პოლიტიკა გაგრძელდება ისე, როგორც დაიწყო, ინგლისი და საფრანგეთი ამ წლის დამლევამდი გახდებიან გულწრფელი თანამშრომლები. მაგრამ ის ვერავითარ ნაბიჯს ვერ გადასდგამს, სანამ არ მიიღებსმოხსენებას ექსპერტთა კომისიისაგან. როგორც კი ეს მოხსენებები მიღებული იქნება, ის ფიქრობს, რომ დადგება დრო ყველა პრობლემების, ვალდებულებათა და სხვა მოსაგვარებლად.

მაკდონალდმა დასძინა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის საბოლოო მისწრაფება უნდა იყოს შეთანხმებათა მიღწევა. ეს იქნება დამამტკიცებელი საბუთი ნაყოფიერი პოლიტიკისა. ეს არის ღრმად გამჯდარი მის შეგნებაში. ის მთელ თავის ენერგიას მოახმარს იმას, რომ გააძლიეროს ერთა ლიგის წარმომადგენლობითი ხასიათი და ავტორიტეტი. ერთა ლიგა უფრო და უფრო მიიღებს საერთაშორისო სასამართლოს ხასიათს იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ორი ერისათვის ძნელი გადასაჭრელი იქნება.

გერმანია უნდა შევიდეს ერთა ლიგაში და მას იმედი აქვს, რომ რუსეთიც შევა მასში. მთავრობა პირველყოვლისა იმუშავებს ევროპის პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ, როდესაც ამერიკა გაიგებს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მუშაობენ ახალი თვალსაზრისით, ენტუზიაზმით და იდეალიზმით, მაშინ ის, ამერიკა, სავსებით მზად იქნება შეიტანოს თავისი მონაწილეობის წვლილი ამ მუშაობაში.

მაკდონალდის სიტყვის დანარჩენი ნაწილი ეხებოდა ინგლისის შინაურ მდგომარეობას. შენობების აგების საკითხის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ მუშაობის სიმცირე საალმშენებლო წარმოებებში მეტად მწვავე საკითხია. მუშაობის გადიდებით საკითხს ეღობება კანონიერი წინააღმდეგობა ტრედიუნიონების მხრივ. მთავრობა ცდილობს ამ წინააღმდეგობების თავიდან აცილებას საალმშენებლო მრეწველობისათვის მუშაობის ხანგრძლივობის გარანტიების მიცემით, განსაზღვრულ პირობებში. სულიერი განწყობილება, რომელიც სუფევდა მინისტრების, საალმშენებლო მწარმოებლების და საალმშენებლო მუშების ამას წინად გამართულ კონფერენციაზე, საუკეთესო იყო. მაკდონალდი დარწმუნებულია, რომ საკითხი შრომის შესახებ სულ ახლო მომავალში სასურველად გადაიჭრება. უმუშევრობის შესახებ პრემიერმა სთქვა, რომ მთავრობა თავს მოუყრის თავის ძალებს პირველ ყოვლისა არა შრომისათვის დახმარების, არამედ ვაჭრობის აღდგენის ნიადაგზე. მთავრობა ფიქრობს, ვაჭრობის შესაძლებლობათა განსავითარებლად იმოქმედოს ისე, რომ გაფართოებულ იქნას საოპერაციო პერიოდი და საექსპორტო კრედიტების გეგმები. ერთ ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა და მას განზრახული აქვს ამ საკითხის ყოველ მხრივად და მეცნიერულად განსახილველად დაარსოს ავტორიტეტული კომისია. შემდეგ პრემიერმა მოკლედ წარმოადგინა წინადადებები მიწად მოქმედების განსამტკიცებლად, რომლებშიაც გათვალისწინებულია მიწად მოქმედებისათვის დახმარების გაწევა სესხით, ან გარანტიებით კოოპერატიულ წარმოებათა საშუალებით, რომელთაც კანტროლს გაუწევენ სამიწათმოქმედო კომისიები. ამ კომისიების მოვალეობა იქნება თვალყურის დევნება სამიწათმოქმედო წარმოებისათვის, ნედლი მასალებისათვის, ნედლი მასალის შესყიდვისათვის ბაზარზე გასაღებისათვის და სხვ.

საიმპერიო კონფერენციის დადგენილებები შეტანილი იქნებიან განსახილველად თემთა პალატაში. მთავრობა გამოსთქვამს თავის შეხედულებებს ამ დადგენილებების შესახებ და დატოვებს თუმცა პალატის განკარგულებაში მთავრობის უწყებაში არსებულ ყველა ცნობებს და პასუხისმგებლობას ამ საკითხი გადაჭრისათვის დააკისრებს თემთა პალატის წევრებს. ილაპარაკა რა მუშათა მთავრობის განსაკუთრებულ მდგომარეობის შესახებ იმ მხრივ, რომ ის იმყოფება უმცირესობაში,—მაკდონალდმა განაცხადა, რომ მთავრობა დასტოვებს ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოთ იქნება მიღებული სხვა პარტიის პასუხისმგებელ ლიდერების მიერ შეტანილი და თემთა პალატის მიერ დამტკიცებული უნდობლობის ვოტუმი.

***

ჩვენ გავეცანით მაკდონალდის დეკლარაციას საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ. აქ, როგორც ვხედავთ, არაფერია ნათქვამი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ინდოეთის მიმართ. ამას წინად კი მაკდონალდმა ინდოეთის ხალხს დაემუქრა: არ გაბედოთ რევოლიუციონური გამოსვლები, თუ თქვენ დაარღვიეთ კონსტიტუცია დაუზოგავი ზომები იქნება მიღებული თქვენს წინააღმდეგო.

მოსკოვის გაზეთ „პრავდამ“ ამის გამო უსაყვედურა ინგლისის მუშათა პარტიას და აღნიშნა: „ეს უკვე მუქარაა ინდოეთის რევოლიუციონერების წინააღმდეგ, ეს ძალიან ცუდი მიდგომაა იმ საკითხისადმი, რომელიც ყველაზე მტკივნეულია ინგლისის პოლიტიკაში.“

***

მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე, რომელიც გაიმართა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კამენევმა, ლენინის დამ მარიამ, ლუნაჩარსკიმ და კლარა ცეტკინამ. გამოაქვეყნეს თავიანთი მოგონებები ლენინის ცხოვრებიდან და დაახასიათეს უკანასკნელის მოღვაწეობის მთავარი ხაზები.

საბჭოს პლენუმმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

მოსკოვის საბჭოთა პლენუმი ადგენს: დატოვებული იქნეს სამუდამოთ ლენინი მოსკოვის საბჭოს წევრთა სიაში, როგორც მოსკოვის მშრომელთა დეპუტატი და 2) ლენინის საწევრო ბილეთის № 1-ლი არ გამოეწეროს საბჭოს სხვა წევრს.

ლენინის ხსოვნის უკდავსაყოფად მშრომელთა შორის, მოსკოვის საბჭო ადგენს: 1) მოსკოვის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, მშრომლების კლუბში, სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებში, რაიონულ საბჭოებში და სხვა დაწესებულებებში გამოკიდებული იქნას დაფები ამონაწერებით ლენინის სიტყვებიდან და ნაწერებიდან, 2) დაარსდეს მოსკოვის მთლიანი ფონდი ილიჩის ხსოვნის უკდავსაყოფად.

***

ლენინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს კომპარტიისაკენ უპარტიო მუშების მასსიურ ლტოლვას. აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ცნობებს, რომელიც ერთ დღის რადიომ მოგვიტანა:

მოსკოვი. 8 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები რუსეთის კომპარტიაში მუშების შესვლის შესახებ. ეკატერინოსლავში რკინის გზის სახელოსნოს 1.600 მუშიდან პარტიაში ჩაეწერა 800 კაცი. დონის ოლქში 6 თებერვლამდე პარტიაში ჩაეწერა 8.000 მუშა; სარატოვში უკანასკნელ დღეებში ჩაეწერა კომპარტიაში 600 მუშა. ირკუცკში—3.000-ზე მეტი, რიაზანში 600-ზე მეტი. იაროსლავში—200 მუშა; ყაზანში—ყაზანის უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის 150 მსმენელი, მინსკში—150-ზე მეტი მუშა; იარცევის ფაბრიკაში—200.

სევასტოპოლი. 8 თებერვალი. მუშათა კორესპონდენტების ორგანიზაციამ დაადგინა მთლიანად ჩაეწეროს პარტიაში.

ვოლოგდა. 8 თებერვალი. კოროზოვის თემში 19 გლეხმა შეიტანა განცხადება რუს. კომპარტიაში შესვლის შესახებ.

ლენინგრადი. 8 თებერვალი. 5 თებერვლისათვის შემოვიდა 3.000 განცხადება რუს. კომპარტიაში ჩაწერის შესახებ. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში სულ შემოტანილია 18.000-ზე მეტი ასეთი განცხადება.

მოსკოვი. 8 თებერვალი. მოსკოვში და მოსკოვის გუბერნიაში 7 თებერვლამდის შეტანილია 17.139 მუშის განცხადება რ. კ. პ. შესვლის შესახებ.

ვერხნეუდინსკი. 8 თებერვალი. ადგილობრივ მელითონეთა კავშირმა დაადგინა მთელი შემადგენლობით შევიდეს რუსეთის კომპარტიაში.

იაროსლავლი. 8 თებერვალი. „წითელ პერეკოპის“ 8.000 მუშების საერთო კრებამ გადასცა პარტიას 194 კაცი რომელნიც, რევოლიუციისათვის ყველაზე უფრო თავდადებულ მებრძოლებად ითვლებიან.

ცარიცინი. 8 თებერვალი. მუშათა რიცხვი, რომელთაც განცხადება შეიტანეს პარტიაში შესვლის შესახებ, აღწევს 300 კაცს.

ოდესა. 8 თებერვალი. რუსეთის კომპარტიის საერთო საქალაქო კონფერენცია საგუბერნიო კომიტეტის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნავს თვალსაჩინო მიღწევებს პარტიაში პროლეტარულ ელემენტების შემოსვლის საქმეში.

აქედან აშკარაა, თუ რა მასსიური ხასიათის ლტოლვაა კომპარტიისაკენ უპარტიო მუშებისა, ვინაიდან ეს არის მხოლოდ ერთი დღის ცნობა. ასეთივე ცნობები მოდის თითქმის ყოველ დღეს.

ქრონიკა

გოგიტა ფალავას დაპატიმრება. 15 თებერვალს 1 საათზე ქ. თბილისში ალექსანდრეს ქ. № 41 შეიპყრეს ბანდიტების ბრბოების ხელმძღვანელი და მენშევიკური არალეგალური ცეკას წევრი, გოგიტა ფალავა.

✦ **ს. დევდარიანმა** გასწყვიტა ყოველ-გვარი კავშირი სოც. დემოკრატიულ პარტიასთან. „მოუწოდებ თვითეულ მუშას, გლეხს, თითეულ მენშევიკს გადაჭრით უარყოს ეს გზა (მენშევიკური) და საქართველოს ეროვნულ ინტერესებისათვის ხელში დაიკავოს დროშა მუშათა კლასის დიკტატურის. ეს ითქვა ყოფილ მენშევიკების დეკლარაციაში და ეს უნდა გაიხადოს თავისი მუშაობის სახელმძღვანელოდ ყველამ, ვისაც არ დაუკარგავს კავშირი სოციალიზმთან“, ამბობს ის ერთ ადგილას თავის წერილში, ხოლო მეორე ადგილას ამბობს: „მივმართავ ყველას, სოც. დემ. პარტიიდან გამოსულებს,—ნულარ დაიწყებთ აქეთ იქეთ ქანაობას, არ შეგერყესთ ხელში დროშა მუშათა კლასის დიკტატურის, შემჭიდროვდით ამ დროშის ქვეშ. თქვენ უნდა ამოგიდგენ გვერდში, ვინც არის კიდევ დარჩენილი პარტიაში. **მე ვიქნები თქვენთან ერთად**“.

✦ **ქ. თფილისში 12 თებერვალს** გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა.

✦ **„ლენინის სახელობის ფონდის“** შესაკრებად და მისი სარეალიზაციოდ საერთოდ გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტმა გამოყო სპეციალური კომისია **ალიმალ-ოღლის, ვირაპის და სუხიშვილის** შემადგენლობით. ეს ფონდი შეგროვდება ნებაყოფლობით და სურვილისამებრ.

✦ 13 თებერვალს, დღის 1 საათზე იტალიის წარმომადგენელმა ტფილისში ლამანიამ ინახულა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. ღოღობერიძე, მიულოცა მას იტალიის მიერ ს. ს. რ. კავშირის დე-იურეთ ცნობა და იტალიასა და ს. ს. რ. კავშირის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება და გამოსთქვა იმედი, რომ ეს პირველხარისხოვან მნიშვნელობის აქტები შეიქმნებიან მთავარ ფაქტორებათ იტლიასა და ს. ს. რ. კავშირის შორის მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის და გახსნიან ახალ ერას ორივე მხარის ურთიერთ დამოკიდებულებაში.

ამხ. ლ. ღოღობერიძემ ლამანიას უპასუხა, რომ ს. ს. რ. კავშირის ეროვნებანი, კერძოდ კი საქართველოსი, ულრმესი კმაყოფილების გრძნობით შეეგებენ ს. ს. რ. კავშირის იურიდიულად ცნობის ამბავს, რომელიც უეჭველად წარმოადგენს თავდებს მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებისას და როგორც რუსეთის და მასთან მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მთელი ევროპის ეკონომიურად აღორძინებისას.

✦ **საქართველოში** სწარმოებს დიდი ლტოლვა კომპარტიის რიგებისაკენ: კომპარტიის ცეკას დადგენილებით პირველ რიგში პარტიაში მიიღებენ დაზგასთან მდგომ მუშებს. მიღება სამი თვის განმავლობაში იწარმოებს განსაკუთრებული კამპანიის საშუალებით.

✦ **10 თებერვალს** 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს არტისტ ტასო აბაშიძეს. იუბილეს აუარებელი საზოგადოება დაესწრო. იყო მილოცვები მთავრობისაგან, ქალაქის აღმასკომისგან და სხვ.

სხვა და სხვა ამბები

✦ **ნორვეგიის მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი.**

✦ **საბჭოთა რუსეთში** უპარტიო მუშები მასიურად მიილტვიან კომპარტიისაკენ. ყოველ დღე მოდის ცნობები, რომ ათასობით ეწერებიან პარტიაში.

✦ **ინგლისის** თემთა პალატაში მთავრობის სახელით საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ დეკლარაცია წაიკითხა მაკდონალდმა.

✦ **მუშათა პარტიის** ერთ-ერთმა ლიდერმა ჰენდერსონმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობით დაინტერესებული იყო მუშა ამრჩევლების დიდი უმრავლესობა,—ცნობა, სთქვა ჰენდერსონმა,—რამდენიმე კვირის შემდეგ გააუმჯობესებს ინგლისის ვაჭრობას და შეამცირებს უმუშევრობას.

✦ **მუშათა მთავრობის** პოლიტიკით არ არიან კმაყოფილნი მუშათა პარტიის მემარცხენე ელემენტები. ისინი მოითხოვენ მთავრობისაგან უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმას მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

იტალიის ელჩათ მოსკოვში დანიშნულია გრაფი მანკონი, რომელიც 14 თებერვალს გაემგზავრა დანიშნულების ადგილას.

ჩეხო—სლოვაკიის ყველა პარტიები, გარდა ნაციონალ-დემოკრატებისა მომხრე არიან საბჭოთა კავშირის ცნობისა.

ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ახლო მომავალში უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის ცნობა ავსტრიის მიერო.

იტალიის პრესის ცნობით, ჩიჩერინმა განაცხადა რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა ინგლისის და იტალიის მიერ გავლენას მოახდენს სხვა ერებზეც. ჩიჩერინმა დაუმატა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ჩამორთმეულ კაპიტალისა და ქონების შესახებ—ურყევია და ვერავითარი ძალდატანება ვერ აიძულებს მას რაიმე ცვლილება შეიტანოს ამ საკითხში. შემდეგ ჩიჩერინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას და მისთვის უცხოა რაიმე მტაცებლური მისწრაფებები.

გერმანიაში პროფუ. კავშირების არჩევნებში სასტიკად მარცხდებიან სოც. დემოკრატები.

საფრანგეთის პრესამ შესცვალა თავისი დამოკიდებულება რურის საკითხისადმი. ის უკვე მოითხოვს რურის ოკუპაციაზე ხელის აღებას. აშკარაა აქ ინგლისის მუშათა მთავრობის გავლენა:

გერმანიაში ღღითი ღღე ძლიერდება კომუნისტური მოძრაობა. მოელიან კომუნისტების მასსიურ დემონსტრაციებს; ბერლინში პოლიცია ემზადება ბრძოლისათვის.

პოლონეთში ეკონომიური კრიზისი თან და თან ღრმავდება. პოლონეთის მრეწველები უარს ამბობენ სამუშაო ხელფასის ინდექსით მიცემაზე. ყველა წარმოებებს ამცირებენ და ითხოვენ მუშებს.

ამხ. ლიტვინოვმა უცხოეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, პირდაპირ სასაცილოა იმ მცირე სახელმწიფოების როლი, რომელთაც ჯერ კიდევ არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი ჟურნალი „სიმართლის ხმის“ საშუალებით განვაცხადო შემდეგი: მე ვმუშაობდი რუსეთის სოც-დემ. მუშათა პარტიაში 1904-5-6 და 1907 წლებში. შემდეგ წლებში შექანიკურად მოვწყდი პარტიულ მუშაობას რევოლიუციამდე. რევოლიუციის შემდეგ ვმუშაობდი სოც-დემ. პარტიის დავალებით და მეჭირა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა. თუმცა პარტიის ოფიციალურ წევრათ არ ვითვლებოდი, მაგრამ, როგორც ჩემი წარსულით, ისე მსოფლ მხედველობით პარტიასთან მჭიდროთ ვიყავი დაკავშირებული, სრულიად თანაუგრძნობდი მას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თვალ-ყურს ვადევნებდი პარტიის მოქმედებებს, როგორც პარტიასთან იდეურათ დაკავშირებული. 25-30 აგვისტოს პარტიული ყრილობის მიერ აღებულ პოლიტიკური ხაზის აწონ-დაწონვამ დამარწმუნა ყრილობის დებულებათა სიმართლეში და ამიტომ საჭიროთ ვსთვლი შევუეთდე ყრილობის წევრებს პრაქტიკაში ყრილობის რეზოლიუციების გასატარებლად.

პეტრე ჩოჩია.

—

გთხოვთ თქვენ პატივცემული ჟურნალის №-ში მომითავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება: 1906-წლიდან ვირიცხებოდი სოც. დემ. (მენშევიკურ) პარტიის წევრად, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეც ჩავები არალეგალურ მუშაობაში და ვირიცხებოდი ცხინვალის რაიონის სოფელ დვრირის კოლექტივის (იაჩეიკის) წევრად. მართალია ბევრს საკითხებში არ ვეთანხმებოდი არალეგალურ კომიტეტს, მაგრამ პარტიული დისციპლინის ძალით ვემორჩილებოდი პარტიის სხვა და სხვა დადგენილებებს და დროზე ვერ დავახწიე თავი პირად თავმოყვარეობას. ამ დღეებში მომეცა საშუალება სავსებით გავცნობოდი, როგორც აგვისტოს კონფერეციის დადგენილებებს, ისე ჩემი თანამებრძოლთა, მეტეხში მყოფ (გორის მაზრიდან) პატიმართა განცხადებას, რამაც ჩემში აღფრთოვანება გამოიწვია. უერთდები რა 25-აგვისტოს (მენშევიკურ) კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს, ფიცსა ვსდებ მთელი ჩემი ენერგიით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ამით გამოვასწორო მუშათა კლასის წინაშე ის შეცდომები, რომლებიც დაუშვი არალეგალურ (მენშევიკურ) პარტიაში მუშაობით ამ სამი წლის განმავლობაში.

ტატო სიმონის-ძე ბურნაძე

—

1917 წლიდან ვირიცხებოდი საქ. დემ. (მენშევიკურ) პარტიის წევრად. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეც ჩავები არალეგალურ პარტიის პასიურ წევრად. დღეიდან თავს ვანებებ მას და ჩემს წმინდა მოვალეობათ ვთვლი ხელი შეუწყო არსებულ ხელისუფლებას აღმშენებლობითი მუშაობაში.

გრიგოლ ა. იტრიევი.

—:—

1917 წლიდან ვირიცხებოდით სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და შეძლების დაგვარათ ვმუშავობდით კიდეც. ჩვენზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ მივიღეთ მონაწილეობა საქართველოს ს. დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რამაც მოგვცა ზედმეტი საშუალება გადაგვეფასებინა ჩვენი წარსული და აწმყო. ღრმა შეგნებით ვიზიარებთ რა ამხანაგების მიერ არჩეულ ახალი გზის სისწორეს ჩვენც სავსებით უერთდებით მათ ყველა დადგენილებებს და ვწყვეტთ ყოველგვარს დამოკიდებულებას მატყუარა მენშევიკებთან.

გიგაური დავითი
მენაბდიშვილი ივანე
ნოზაძე კონსტანტინე
ისაკ არუთინოვი
ლაგურაშვილი.

1898 წ. მე ვირიცხებოდი სოც. დემოკრატიული პარტიის წევრად.

ახლა კი ღრმა ჩაკვირვების შემდეგ დავრწმუნდი, რომ მენშევიკების კუს ნაბიჯით სიარული ვერასოდეს ვერ აღირსებს მუშათა კლასს ბედნიერებას. ის გზა კი, რომელსაც კომუნისტები ადგანან სწორი და უტყუარია. თუ არა ჯიუტი, ყველა დარწმუნდება, რომ სოციალიზმის დასამყარებლად მუშათა კლასს სხვა გზა არა აქვს. ამიტომ მთელი ჩემი არსებით და ენერგიით ვგმობ მენშევიკურ პარტიას, ვსწყვეტ მასთან ყოველგვარ კავშირს და ვიზიარებ ყოფილ მენშევიკების ყრილობის მიერ მიღებულ დეკლარაციას და დადგენილებებს. ამ განცხადებას მე არ ვაკეთებ არავისი ძალდატანების გავლენის ქვეშ. მე სრულიად თავისუფალი ვარ, მაგრამ ჩემი მოვალეობად მიმაჩნია ეს განვაცხადო. მე 10 თვის განმავლობაში ციხეში ვიყავი, მაგრამ იქ შემრჩა ჩემი რწმენა, აი მხოლოდ მაშინ ვაცხადებ, როცა საკუთარი აზროვნებით, ფიქრით მივედი იმ დასკვნამდე, რომ მენშევიკური პარტია არ არის მუშების პარტია.

გიგო იასამანოვი.

—

მე ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიაში 1903 წლიდან 1921 წ-დე. ჩამოვშორდი ხსენებულ პარტაის, არალეგალურ მუშაობაში მონაწილეობა არ მიმიღია; მაგრამ უკანასკნელ დროს დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი გზა შემცდარი იყო და ჩვენი პარტიის მიერ აღებული სამუშაო ხაზი საზიანო მუშათა კლასისთვის, მე ვსტოვებ მენშევიკურ პარტიას და სავსებით უერთდები ყოფილ მენშევიკთა ყრილობის დადგენილებას მთელი ჩემი შეგნებით და ენერგიით.

მელიტონ დ. სალუქვაძე.

—

1904 წლიდან მე ვირიცხებოდი რ. ს. დ. მ. (მენშევიკურ) პარტიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საშუალება მომეცა დავკვირებულიყავ საბჭოთა აღმშენებლობას და მე თითონაც ჩავები ამ მუშაობაში კულტურულ და საამშენებლო საქმეებში.

ეხლა კი დიდი დაკვირვების და აწონ-დაწონის შემდეგ სრულიათ შეგნებით ვსტოვებ მენშევიკურ პარტიას და ვიზიარებ ყოფილ მენშევიკების კონფერენციის დადგენილებებს. ამასთან ერთათ მზათა ვარ გავწიო ის მძიმე უღელი, რომლითაც არის დატვირთული მთელი მუშათა კლასი.

მიხეილ გ. ტატიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 638. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 1046. ტირაჟი 1000